ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ხატია ჭანტურია

მოქალაქეთა ჩართულობის ბარიერები საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობებში

სახელმწიფო მართვა და საჯარო პოლიტიკა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საჯარო მმართველობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ნანა მაჭარაშვილი

ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2018

სარჩევი

ანოტაცია 3

შესავალი 7

I თავი - ლიტერატურის მიმოხილვა 16

§1.სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა 16

§1.1. მოქალაქეთა ჩართულობის მნიშვნელობა 16

§1.2. მოქალაქეთა ჩართულობის ტიპები 17

§1.3. თანამონაწილეობის ბარიერები 19

§1.4. მონაწილეობითი მმართველობის შედეგები 22

§2. საკანონმდებლო ბაზის მიმოხილვა 24

§3. ადგილობრივი თვითმმართველობები: მცხეთა და რუსთავი 29

§3.1. მცხეთა 29

§3.2. რუსთავი 31

II თავი - ნაშრომის ემპირიული ნაწილი 35

§2.1. ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენელთა კვლევა 36

§2.2. არასამთავრობო ორგანიზაციების წევრების კვლევა 43

§2.3. რაოდენობრივი კვლევის ანალიზი 49

რეკომენდაციები 58

დასკვნა 59

ბიბლიოგრაფია 62

დანართი 1 64

დანართი 2 74

დანართი 3 80

ანოტაცია

აღნიშნული ნაშრომი მიზნად ისახავს ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა ჩართულობის ბარიერების გამოვლენას. მასში წარმოდგენილია ადგილობრივი ხელისუფლების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების დამოკიდებულებები თანამონაწილეობის ბარიერების შესახებ. მართვის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს დემოკრატიული პროცესების განვითარებაზე. მონაწილეობის მექანიზმები მოსახლეობასა და ხელისუფლებას აახლოებს, ამასთანავე, საზოგადოებას შესაძლებლობას აძლევს, გავლენა იქონიოს არჩეული ან დანიშნული პირების გადაწყვეტილებებზე, განსაზღვროს პრიორიტეტები, მოითხოვოს ანგარიშვალდებულება და პასუხისმგებლობა. თანამონაწილეობაზე დაფუძნებული მმართველობა ქმნის ინფორმაციის, ცოდნისა და გამოცდილების წყაროს, რაც ხელს უწყობს არსებული რესურსების საჯარო ინტერესების შესაბამისად განკარგვას. მიუხედავად იმისა, რომ საბოლოო გადაწყვეტილებებს ხელისუფლების ორგანოები იღებენ, მოქალაქეები დიალოგის საშუალებით ადგილობრივ ინსტიტუტებს საკუთარ მოსაზრებებს, ალტერნატივებსა და მიმართულებებს აწვდიან. მოსახლეობასა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის პარტნიორული ურთიერთობა კი გადაწყვეტილებებს ღიასა და გამჭვირვალეს ხდის, რაც თვითმმართველობის ეფექტურ მუშაობას და მის მიერ განხორციელებული პოლიტიკის ლეგიტიმაციას უზრუნველყოფს. დღესდღეობით, საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა ჩართულობის დონე ძალიან დაბალია, ეს სხვადასხვა ბარიერითაა განპირობებული. მოცემული კვლევის მიზანი სწორედ თანამონაწილეობის ბარიერების აღმოჩენაა. სამაგისტრო ნაშრომი ეფუძნება თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის სინთეზს. რაოდენობრივი კვლევის მეთოდით (ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარი) გამოიკითხა 200, თვისებრივი კვლევის მეთოდით (სიღრმისეული ინტერვიუ) კი - 14 ადამიანი. სულ გამოიკითხა 214 რესპონდენტი. საკვლევ არეალს წარმოადგენდა ქალაქი მცხეთა და თვითმმართველი ქალაქი რუსთავი. ნაშრომში ძირითადი აქცენტი გაკეთებულია: მოქალაქეთა ჩართულობის ფორმებზე, მონაწილეობის ბარიერებზე, ასევე თანამონაწილეობის არსებული პრაქტიკისა და

საქართველოს საკანონმდებლო ბაზის შეფასებაზე. კვლევის შედეგების თანახმად, თვითმმართველობას სათანადო ძალაუფლება არ გააჩნია მოსახლეობის მონაწილეობის უზრუნველსაყოფად. მოქალაქეთა ჩართულობის ბარიერები ძირითადად დაკავშირებულია ინფორმირებულობისა და განათლების დაბალ დონესთან. თანამონაწილეობის მიმართულებით სირთულეებს ქმნის საკანონმდებლო ბაზაში არსებული ხარვეზებიც. დადგინდა, რომ ადმინისტრატორებსა და სამოქალაქო საზოგადოების წევრებს არ აქვთ პოლიტიკური ნება ადგილობრივმა მოსახლეობამ მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკის შემუშავების პროცესში. იმისათვის, რომ არჩეული ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ლეგიტიმიური იყოს მნიშვნელოვანია საზოგადოების აქტიური მონაწილეობა. ეფექტური მმართველობა მიიღწევა სამგანზომილებიანი დინამიკით ადგილობრივ ხელისუფლებას, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მოსახლეობას შორის. მოცემული ნაშრომი შესაძლოა საინტერესო აღმოჩნდეს მოქალაქეთა ჩართულობის ბარიერებით დაინტერესებული პირებისათვის.

Citizen Participation Barriers in Georgian Local Government

Khatia Tchanturia

Annotation

The present thesis aims to reveal the barriers to citizens' participation in the local self-governance. It includes the attitudes of local authorities, NGOs and civil society representatives about participatory barriers. Citizens' involvement in the management process has a significant impact on the development of democratic processes. The mechanism of participation brings closer the public and the government, and at the time gives opportunity to the society to have influence on the decisions of elected or appointed persons, to determine priorities, and to require accountability and responsibility. Governance based on the contribution creates source of information, knowledge and experience that facilitates disposal of existing resources in accordance with public interests. Despite the fact that final decisions are taken by the authorities, citizens deliver their opinions, alternatives and directions to local institutions through dialogue. Partnership between the local population and the local authorities makes decisions more open and transparent, which ensures efficient work of self-government and legitimacy of its policies. Nowadays, the level of involvement of citizens in the local self-governance of Georgia is very low, which is due to various barriers. The purpose of this study is to find out the barriers of participation. The Master's Thesis is based on the synthesis of qualitative and quantitative research. By 200 persons were interviewed by quantitative research method (semi-structured questionnaire), and 14 persons were interviewed by qualitative research method (in-depth interview), in total 214 respondents were interviewed. The study area was the city of Mtskheta and the self-governing city Rustavi. The main focus is made on the forms of citizens' engagement, participatory barriers, as well as on the existing practice of participation and assessment of the legislative base of Georgia. According to the survey results, the self-governance does not have the proper power to ensure participation of the population. Barriers to citizens' involvement are mainly related to low level of awareness and education. The difficulties in the direction of participation are also caused due to the shortcomings in the

legislative database. It was established that administrators and civil society members have no political will to participate in the process of policy development. In order to legitimate the decisions taken by elected bodies, the active participation of the public is important. The effective governance is achieved by three-dimensional dynamics between local authorities, NGOs and population. This work may be interesting for people who are interested in the engagement barriers.

შესავალი

თემის აქტუალობა: აღნიშნული ნაშრომი მიზნად ისახავს ადგილობრივ დონეზე მოქალაქეთა ჩართულობის ბარიერების გამოვლენას. მოქალაქეთა ჩართულობა დემოკრატიული სახელმწიფოს ძირითად პრინციპს წარმოადგენს. ადგილობრივ დონეზე სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა ხელს უწყობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში საჯარო ინტერესების გათვალისწინებას, რაც სერვისის მიწოდების ხარისხს აუმჯობესებს და პოზიტიურ გავლენს ახდენს დემოკრატიული პროცესების განვითარებაზე. აღსანიშნავია, რომ განვითარებულ ქვეყნებში ძალაუფლება უფრო მეტად დეცენტრალიზებულია, ვიდრე განვითარებად ქვეყნებში. თუმცა, ბოლო ათწლეულების მანძილზე დემოკრატიზაციისა და დეცენტრალიზაციის პროცედურებმა გარდამავალ ქვეყნებში ხელი შეუწყო მოქალაქეთა ჩართულობისა და ადგილობრივი მართვის ორგანოების უფლებამოსილებების გაზრდას.

ახალი დემოკრატიის ქვეყნებში თანამონაწილეობის მიმართულებით არაერთი პრობლემა ჩნდება. კერძოდ, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები უმთავრესად სამოქალაქო საზოგადოების ფისკალურ მენეჯმენტში (იგულისხმება გადასახადებთან დაკავშირებული საკითხები) ჩართულობაზე ორიენტირდებიან, პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ დონეზე კი მათ მონაწილეობას უგულებელყოფენ. ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ წამოყენებული ინიციატივების ეფექტურობის მიზნით აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოებასა და მმართველ ძალას შორის კოლაბორაციული ურთიერთობების დამყარება და ანგარიშვალდებულების მექანიზმის არსებობა. საჯარო ადმინისტრირებაში მოქალაქეთა ჩართულობა განიხილება, როგორც დემოკრატიის უმთავრესი ფასეულობების: გამჭვირვალობის, ლეგიტიმურობის, მოქალაქეთა პასუხისმგებლობისა და მთავრობის მიმართ ნდობის უზრუნველყოფის გზა. საზოგადოების აქტიური მონაწილეობა ძალაუფლების მქონე ორგანოს მოქმედების ეფექტურობას ზრდის, რადგან არსებული რესურსები საზოგადოების საჭიროებების დაკმაყოფილებისკენაა მიმართული.

აღსანიშნავია, რომ წარმომადგენლობითი დემოკრატიის ქვეყნებისათვის საჯარო პოლიტიკის შემუშავების პროცესში სხვადასხვა დაინტერესებული მხარის

ჩართულობაა დამახასიათებელი, შესაბამისად ხელისუფლების ყველა შტო ანგარიშვალდებულია განავითაროს საზოგადოებრივი მონაწილეობის მექანიზმები. პოლიტიკის განხორციელებაში მონაწილეობა გულისხმობს სამოქალაქო საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვა ფორმალური თუ არაფორმალური სოციალური ჯგუფების ჩართულობას. იმ ქვეყნებში, რომლებშიც დეცენტრალიზაციის პროცესი მიმდინარეობს, სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა ადგილობრივ დონეზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ასეთ ქვეყნებში საზოგადოება ნაკლებად ინფორმირებულია, რის გამოც მოქალაქეები კარგად ვერ აცნობიერებენ ადგილობრივ დონეზე თანამონაწილეობის მნიშვნელობას. თვითმმართველობის განხორციელებაში მონაწილეობის მისაღებად მოსახლეობის ინფორმირებულობა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან იგი მოქალაქეებისათვის ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობის შესახებ სრული, დროული და ყველასთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის მიწოდებას გულისხმობს. აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივი ჩართულობის ფასეულობაზე საუბარია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის“ პრეამბულაში, რომლის რატიფიცირებაც საქართველომ 2004 წლის დეკემბერში მოახდინა. მოცემული ქარტიის მიხედვით, „მოქალაქეთა უფლება, მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო საქმეების წარმართვაში წარმოადგენს ერთ-ერთ დემოკრატიულ პრინციპს, რომელიც საერთოა ევროპის საბჭოს ყველა წევრი სახელმწიფოსთვის“.[1] საქართველო განვითარებადი ქვეყანაა, რომელშიც დემოკრატიის ძირითადი პრინციპები ფორმირების ადრეულ ეტაპზეა. სამოქალაქო საზოგადოებისა და საჯარო უწყებების წარმომადგენელთა დიდ ნაწილს კარგად არ აქვს გაცნობიერებული მოქალაქეთა ჩართულობის მნიშვნელობა, ამიტომ დემოკრატიის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპი (ადგილობრივ დონეზე მოქალაქეთა მონაწილეობა) სხვადასხვა ბარიერის წინაშე დგას. ამდენად, ჩვენს ქვეყანაში თანამონაწილეობის ხარისხი მნიშვნელოვან გაუმჯობესებას საჭიროებს.

მოქალაქეთა ჩართულობის შესასწავლად ფონდმა „ღია საზოგადოება საქართველო“ 2011 წელს ჩაატარა კვლევა, რომლის მიხედვით პოლიტიკის შემუშავების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის დონე დაბალია - რესპონდენტთა მხოლოდ 20%

[1] ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ. (1985). სტრასბურგი

იყენებს ჩართულობის გარკვეულ ფორმას. მოცემული გამოკითხვის თანახმად, მუნიციპალიტეტების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში შედარებით მაღალია უმაღლესი განათლების მქონე მოქალაქეების ჩართულობა, თუმცა მთლიანობაში განათლების დონეს მოქალაქეთა მონაწილეობაზე მცირე გავლენა აქვს. მონაწილეობა შედარებით ნაკლებიაა 35 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში, ხოლო ყველაზე მეტი - 35-დან 50 წლამდე ადამიანებში. გამოკითხულთა 33%-ის განცხადებით, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადგილობრივი ხელისუფლება მოსახლეობის აზრს ითვალისწინებს. კვლევის შედეგების მიხედვით, იმ ქალაქებში სადაც მოსახლეობა 50,000-სს აღემატება (მაგ., ბათუმისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტები) საბიუჯეტო საკითხების განხილვაში მოქალაქეთა 5%-ზე მეტი მონაწილეობს, 8%-ს პეტიციაზე აქვს ხელი მოწერილი, 10%-ზე მეტს მონაწილეობა მიღებული აქვს დემონსტრაციებში და დაახლოებით 12-15% ინფორმირებულია საბიუჯეტო პროცესების შესახებ. 50, 000-ზე ნაკლები მოსახლეობის მქონე ქალაქებში (მაგ., ახალციხის მუნიციპალიტეტი - 39,000 ადამიანი) საზოგადოებრივი ჩართულობის დონე კვლევის შედეგად გამოვლენილ ჯგუფებს შორის ყველაზე დაბალია.[2]

საქართველოში მოქალაქეთა ჩართულობის ბარიერების კვლევა სიახლეს წარმოადგენს, რადგან ეს საკითხი სამეცნიერო დონეზე კარგად შესწავლილი და გაანალიზებული არაა. დღესდღეობით საქართველოში - ქვეყანაში, რომელიც დემოკრატიულ ღირებულებებზე გადასვლას ცდილობს, ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ საკითხს ადგილობრივ თვითმმართველობაში საზოგადოების ჩართულობა წარმოადგენს. მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერება ფუნდამენტურია გარკვეული პროცესებისა და საკითხების არსებითი გაუმჯობესებისათვის: გადაწყვეტილების მიღების პროცესი, რომელშიც ჩართული იქნება სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი და გათვალისწინებული იქნება მოსახლეობის აზრი, ერთი მხრივ, გაზრდის კონტროლის ხარისხს ხელისუფლების საქმიანობაზე, მეორე მხრივ კი – შემატებს ლეგიტიმურობას თვითმმართველი ორგანოების გადაწყვეტილებებს; მოქალაქეთა ჩართულობა უზრუნველყოფს დემოკრატიული პროცესების განვითარებას, ადგილობრივი

[2] სვიანიევიჩი, პ. (2011). საზოგადოებრივი აზრი საქართველოში ადგილობრივი ხელისუფლების შესახებ. თბილისი

ხელისუფლება ხდება უფრო მეტი, ვიდრე ოთხ წელიწადში ერთხელ არჩეული წარმომადგენლობითი სისტემა; ადამიანებს შესაძლებლობა ეძლევათ გავლენა იქონიონ მათთან უშუალოდ დაკავშირებულ გადაწყვეტილებებზე.[3] ამდენად, მოქალაქეთა თანამონაწილეობა ეფექტურ მართველობასთან ასოცირდება. ადგილობრივ ხელისუფლებაში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის მიზნით აუცილებელია მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება, მათთვის საჭირო რესურსების მიწოდება და მართვის პროცესში საზოგადოების ჩართულობის შემაფერხებელი ფაქტორების მაქსიმალურად შემცირება. მოცემული თემის აქტუალობიდან გამომდინარე გადავწყვიტე მეკვლია ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა ჩართულობის ბარიერები.

მიზანი: აღნიშნული კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს ადგილობრივ თვითმართველობაში მოქალაქეთა ჩართულობის ბარიერების გამოვლენა. ასევე, მონაწილეობითი მმართველობის გასაზრდელად საჭირო გზების ძიება და რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის ძირითადი მიზნის შესაბამისად დასმულია შემდეგი ამოცანები:

1. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების აღქმებისა და შეხედულებების დადგენა მოქალაქეთა ჩართულობის ბარიერების მიმართ.

2. სამოქალაქო საზოგადოებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების დამოკიდებულებების გამოვლენა ადგილობრივ დონეზე მოქალაქეთა მონაწილეობის ბარიერების მიმართ.

3. დადგენა იმისა, თუ როგორ შეიძლება მოქალაქეთა ჩართულობის ეფექტურობის გაზრდა (თვითმმართველობის, არასამთავრობო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების პოზიციებისა და წარმოდგენების შესწავლა).

კვლევის ობიექტი: ადგილობრივი თვითმმართველობის, არასამთავრობო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები. კვლევის არეალს

[3]ურუშაძე, ი. ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა ჩართულობის სახელმძღვანელო. იხ.ელ.ვერსია: http://www.lsg.gov.ge/contentimage/teees.pdf

წარმოადგენდა ქალაქი მცხეთა და თვითმმართველი ქალაქი რუსთავი, ამ ქალაქების შერჩევა დიდწილად განაპირობა ხელმისაწვდომობამ. აღნიშნული ქალაქების კვლევა საინტერესო იყო, ვინაიდან ორივე მათგანი ტერიტორიული თვალსაზრისით დედაქალაქთან (ცენტრალურ ხელისუფლებასთან) ახლოს მდებარეობს, თუმცა ისინი განსხვავდება სტატუსით, მოქალაქეთა ჩართულობის ფორმებითა და მოსახლეობის რაოდენობით.

კვლევის კითხვა: რა ფაქტორები უშლის ხელს მოქალაქეთა ჩართულობას? რამდენად განსხვავდება მონაწილეობის ბარიერები მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით განსხვავებულ (დიდ და მცირე) ქალაქებს შორის? როგორ შეიძლება მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა?

კვლევის ჰიპოთეზა: 2011 წელს ფონდი „ღია საზოგადოება საქართველოს“ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით წინასწარი სამუშაო ჰიპოთეზები შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

1. ადგილობრივ ხელისუფლებაში მოქალაქეთა მონაწილეობის დაბალი დონე დაინტერესებული მხარეების ტრადიციული დამოკიდებულებებითაა (სამოქალაქო საზოგადოების დიდი ნაწილი არ ფლობს სათანადო გამოცდილებას) განპირობებული. თვითმმართველობის წევრები მოქალაქეებს მართვის პროცესში მონაწილეობის მისაღებად არაკომპეტენტურად მიიჩნევენ.

2. მოსახლეობის ჩართულობის დონე დამოკიდებულია მათ განათლებაზე. პროფესიული და უმაღლესი განათლების მქონე მოსახლეობა უფრო მეტადაა ჩართული, ვიდრე საშუალო განათლების მქონე მოსახლეობა.

3. ინფორმირებული მოქალაქეები აქტიურად არიან ჩართული მართვის პროცესში და შესწევთ ძალა საჯარო მოხელეები გახადონ ანგარიშვალდებული საზოგადოების წინაშე.

კვლევის მეთოდოლოგია: მოცემულ ნაშრომში წარმოდგენილია სოციოლოგიური კვლევის შედეგები. გამოკვლევა ჩატარდა მიმდინარე წლის აპრილ-ივლისში, ქ. რუსთავსა და ქ. მცხეთაში. ნაშრომი ეფუძნება თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის სინთეზს. რაოდენობრივი კვლევა ჩატარდა პირისპირი ინტერვიუს მეთოდის

გამოყენებით. გამოკითხვის ინსტრუმენტად გამოყენებულ იქნა ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარი, ღია და დახურული კითხვების გამოყენებით, მოგვიანებით მოხდა ღია კითხვების კოდირება. ჩატარებული კვლევის შედეგები შეტანილი და დამუშავებული იქნა სპეციალურ სტატისტიკურ პროგრამაში (SPSS), რის შემდეგაც სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე მომზადდა კვლევის ანგარიში. შერჩევისთვის გამოყენებულ იქნა მოსახლეობის 2014 წლის აღწერის შედეგები. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში მცხეთისა და რუსთავის მუნიციპალიტეტების ყველაზე მრავალრიცხოვან ქალაქებში (მცხეთა და რუსთავი) გამოიკითხა 200 რესპონდენტი. ამათგან, 50 მცხეთაში და 150 რუსთავში. სქესის მიხედვით დაცულ იქნა თანაფარდობა - 100 მდედრობითი და 100 მამრობითი სქესის წარმომადგენელი. ამასთანავე, თანაფარდობა დაცულ იქნა ასაკის მიხედვითაც, გამოიყო სამი ასაკობრივი ჯგუფი: 1) 18-25; 26-35; 2) 36-45; 46-55; 3) 56-65; 66 და ზევით. რაოდენობრივ კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა რაოდენობა სქესისა და ასაკის მიხედვით ასე გადანაწილდა: მცხეთა - სქესი: 25 მდედრობითი, 25 მამრობითი; ასაკი: 1 ჯგუფი - 16; 2 ჯგუფი - 17; 3 ჯგუფი - 17 რესპონდენტი. რუსთავი - სქესი: 75 მდედრობითი და 75 მამრობითი. ასაკი: 1 ჯგუფი - 66; 2 ჯგუფი - 67; 3 ჯგუფი - 67 რესპონდენტი. კვლევის ობიექტების შერჩევა შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე მოხდა. შერჩევის ერთეულის ფორმირება განხორციელდა „შემთხვევითი ხეტიალის პრინციპით“ (პირველ ეტაპზე საწყისი წერტილი (მისამართი) შეირჩა, ყოველი მომდევნო რესპონდენტის შერჩევა კი პირველისგან 3 ბიჯის დაშორებით მოხდა). საბოლოო შერჩევის ერთეულს წარმოადგენდა ოჯახის ზრდასრული წევრი (18 წლის და უფროსი ასაკის ადამიანი).

სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა ინტერვიუს გზამკვლევის საფუძველზე, მოცემული მეთოდით ინფორმაციის მიღება მოხდა ადგილობრივი თვითმმართველობისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებისგან, კერძოდ, 14 ადამიანისგან. თვისებრივ კვლევაში გამოყენებულ იქნა მიზნობრივი შერჩევის მეთოდი. შერჩევის აღნიშნული ტიპით იმ ადამიანების გამოკითხვა მოხდა, რომლებიც კვლევის სპეციფიკურ მოთხოვნებს აკმაყოფილებდნენ და ფლობდნენ სათანადო ცოდნასა თუ გამოცდილებას საკვლევი თემის გარშემო. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ რესპონდენტები ინფორმირებული იყვნენ კვლევის მიზნისა და ამოცანების

შესახებ. ნაშრომში წარმოდგენილია ჩატარებული კვლევის ანალიზი. მოცემული ნაშრომის ფარგლებში სულ გამოიკითხა 214 რესპონდენტი. კვლევის შერჩეული მეთოდები მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის ყველაზე ხელსაყრელ საშუალებად იქნა მიჩნეული.

კვლევის მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა: აღნიშნული კვლევის შედეგად გამოვლინდა ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა ჩართულობის მიმართულებით არსებული ბარიერები. ნაშრომი შესაძლოა საინტერესო აღმოჩნდეს ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის (ხელისუფლების წარმომადენელი, არასამთავრობო ორგანიზაციები, სამოქალაქო საზოგადოების წევრები), რომელსაც სურს ინფორმაცია მიიღოს ადგილობრივ დონეზე საზოგადოების მონაწილეობასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ.

კვლევის შეზღუდვები: მოცემული კვლევა ჩატარდა სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში, ამიტომ შეზრუდულია სხვადასხვა ასპექტით. კერძოდ, დრო, ფინანსური რესურსები და სხვა.

კვლევა შეზღუდულია შერჩევის კუთხითაც. მოცემული კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა მხოლოდ ორი მუნიციპალიტეტის (მცხეთა და რუსთავი) მოსახლეობა, არასამთავრობო სექტორისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები.

აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ მოცემულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო იქნებოდა უფრო მასშტაბური კვლევის ჩატარება, მათ შორის სხვა მუნიციპალიტეტებში. თუმცა, ამ ეტაპზე, დროისა და მატერიალური რესურსების სიმცირის გამო, ამის შესაძლებლობა არ გვქონდა.

თეორიული ჩარჩო

არნშტეინის თეორია - მოქალაქეთა მონაწილეობის კიბე - ნათლად წარმოაჩენს საზოგადოების ჩართულობისთვის დამახასიათებელ გრადაციას. არნშტეინი თანამონაწილეობის 8 საფეხურს გამოყოფს. ყველაზე ქვედა დონეზეა მანიპულირება და თერაპია, ეს საფეხურები არმონაწილეობას ასახავს. ადმინისტრატორები დაგეგმვისა და განხორციელების პროცესიდან მოქალაქეებს გამორიცხვენ. შემდეგია, ინფორმირებისა

და კონსულტირების საფეხურები. მოქალაქეებს აქვთ ინფორმაცია მიმდინარე პროექტების შესახებ, ისინი საკუთარ შეხედულებებს გამოთქვამენ, თუმცა გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების აზრის გათვალისწინების ძალიან მცირე შანსი არსებობს. მომდევნო საფეხურებია: დამშვიდება - მონაწილეობა სიმბოლურ ხასიათს ატარებს, პარტნიორული ურთიერთობები - ადმინისტრატორებსა და მოქალაქეებს შორის კოლაბორაცია, უფლებამოსილებათა დელეგირება - ძალაუფლების გადანაწილება და სამოქალაქო კონტროლი - გადაწყვეტილების მიმღებთა კონტროლი. მოცემული საფეხურების ცოდნა გვეხმარება ავხსნათ მოქალაქეთა მონაწილეობა და არმონაწილეობა.[4]

სამაგისტრო ნაშრომი ძირითადად გაანალიზებულია კინგის ცნობილ ნაშრომთან (მონაწილეობის საკითხი: ავთენტური ჩართულობა საჯარო ადმინისტრირებაში) მიმართებაში, რომელიც თანამონაწილეობის საკითხს შეისწავლის და ორიენტირდება საჯარო მმართველობაში სამოქალაქო საზოგადოების ავთენტური მონაწილეობის მნიშვნელობაზე. კინგი ძირითად ყურადღებას ამახვილებს მოქალაქეთა ჩართულობის ბარიერებზე და იმაზე, თუ როგორაა შესაძლებელი საჯარო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის ეფექტურობის გაზრდა. ავტორის თანახმად, აუცილებელია საზოგადოებას ჰქონდეს მონაწილეობის შესაძლებლობა და სჯეროდეს, რომ მის მოქმედებას თუ შეხედულებებს გავლენა ექნება გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე. კინგი თავის ნაშრომში ტრადიციული და ავთენტური ჩართულობის ტიპებს განიხილავს. მისი თქმით, ტრადიციული ჩართულობა ეფუძნება ადმინისტრატორების ცოდნასა და პროფესიონალიზმს, რაც მოქალაქეთა მონაწილეობისათვის თავისუფალ სივრცეს არ ტოვებს. ავთენტური ჩართულობა კი მმართველსა და საზოგადოებას შორის პარტნიორობაზე დაფუძნებულ ურთიერთობას გულისხმობს. მოცემული ავტორის ნაშრომში საუბარია მოქალაქეთა ჩართულობის სამ ძირითად ბარიერზე, ესენია: თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებისეული თავისებურება, ადმინისტრაციული პროცესი და ჩართულობის ტექნიკა. კინგის თანახმად, აღნიშნული ბარიერების დაძლევა შესაძლებელია

[4] Arnstein, Sh. (1969). A ladder of citizen participation

საზოგადოების ინფორმირებულობის დონის გაზრდით, ადმინისტრატორთა როლის შეცვლითა და მართვის პროცესში ცვლილებების განხორციელებით.[5]

[5]King, C.S., Feltey, K.M, and Susel, B.O. (1998). The question of participation: Toward authentic public participation in public administration. Public administration review.

I თავი - ლიტერატურის მიმოხილვა

§1.სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

§1.1. მოქალაქეთა ჩართულობის მნიშვნელობა

ბოლო ათწლეულებში დემოკრატიული პროცესების განვითარებამ სახელმწიფოს როლის ტრანსფორმაცია მოახდინა. უმთავრესი ყურადღება გამახვილდა ადგილობრივ ხელისუფლებაში ძალაუფლების გადანაწილებაზე. ახალი დემოკრატიების დღის წესრიგში დადგა ანგარიშვალდებულების, გამჭვირვალობისა და თანამონაწილეობის უზრუნველყოფა. დეცენტრალიზაციამ და მოქალაქეთა ჩართულობამ დადებითი გავლენა იქონია პოლიტიკურ შედეგებზე, რადგან პოლიტიკის შემუშავების პროცესი ხალხთანაა დაკავშირებული. თვითმმართველობის წევრები კარგად იცნობენ ადგილობრივების საჭიროებებს და გადაწყვეტილების მიღების პროცესში იზიარებენ მათ ინტერესებს. კინგის (Simrell King, 1998) თანახმად, მნიშვნელოვანია ადგილობრივი ხელისუფლების კოლაბორაცია მოქალაქეებთან და სოციალურ ორგანიზაციებთან, რადგან გადაწვეტილების მიღება საჯარო მონაწილეობის გარეშე არაეფექტურია. ჩართულობა ეფუძნება რწმენას, რომ მოქალაქეთა მონაწილეობა მართვის პროცესში დემოკრატიული უფლებაა, როდესაც ადამიანებს თავიანთი ინტერესების გაჟღერების შესაძლებლობა ეძლევათ, სოციალური სამართლიანობა მიიღწევა. ინფორმირებული მოქალაქეები უფრო მეტად არიან ჩართული მართვის პროცესში და შესწევთ ძალა საჯარო მოხელეები გახადონ ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელი სოციალური საჭიროებების დაკმაყოფილებაზე (Oquaye, 1995). აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ ადგილობრივ დონეზე, თვითმმართველობის პოლიტიკის შეცვლასა და სერვისის მიწოდების გაუმჯობესებას ავტომატურად არ მოსდევს დეცენტრალიზებული ხელისუფლების პასუხისმგებლობის გაზრდა და ღარიბი მოსახლეობის საჭიროებებზე ორიენტირება. ხშირად, თვითმმართველობასთან მჭიდრო, კლიენტურ ურთიერთობებში ელიტის წევრები იმყოფებიან (Tendler, 1997). რის გამოც, ჩნდება საფრთხე, რომ დეცენტრალიზებული ძალაუფლება ადგილობრივი ელიტის ხელში აღმოჩნდება საზოგადოების დანარჩენი წევრების, განსაკუთრებით მარგინალიზებული ჯგუფების ინტერესები კი უგულებელყოფილ იქნება. დეცენტრალიზაციის მომხრეები,

უკეთესი მმართველობის უზრუნველსაყოფად, ანგარიშვალდებულებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის გასაზრდელად, არასამთავრობოებისა და სამოქალაქო საზოგადოების როლზე ამახვილებენ ყურადღებას. ტენდლერმა (Tendler, 1997) აღმოაჩინა, რომ წარმატებული დეცენტრალიზაციის საფუძველი სამგანზომილებიანი დინამიკაა ადგილობრივ ხელისუფლებას, სამოქალაქო საზოგადოებასა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის. მან დაასკვნა, რომ ცენტრალიზაციის გაზრდა, ადგილობრივ დონეზე პოლიტიკური შედეგების გაუმჯობესების საფუძველია.[6]

§1.2. მოქალაქეთა ჩართულობის ტიპები

დემოკრატიულ ქვეყნებში პოლიტიკოსები და სამოქალაქო საზოგადოების წევრები დაინტერესებული არიან მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდით, თუმცა ხშირად მათი მცდელობა არაეფექტურია, რაც განპირობებულია გადაწყვეტილებების არასათანადოდ დაგეგმვითა და აღსრულებით. ადმინისტრაციული სისტემები, რომლებიც ეფუძნება გამოცდილებასა და პროფესიონალიზმს მცირე სივრცეს ტოვებენ მონაწილეობისთვის.

აღსანიშნავია, რომ კინგის თანახმად, ჩართულობის პროცესი 4 ძირითადი კომპონენტისგან შედგება: 1. საკითხი ან პრობლემა; 2. ადმინისტრაციული სტრუქტურები, სისტემები და პროცესები, რომლებშიც მონაწილეობა მიმდინარეობს; 3. ადმინისტრატორები და 4. მოქალაქეები. ხშირად მონაწილეობითი მმართველობა ისეა ფორმირებული, რომ მოცემული კომპონენტები საკითხის გარშემო განლაგდება. მოქალაქე ყველაზე მეტადაა დაშორებული საკითხს, ადმინისტრაციული სტრუქტურები და პროცესები უფრო ახლოსაა, ადმინისტრატორი კი სტრუქტურებსა და მოქალაქეებს შორის დამაკავშირებელ აგენტს წარმოადგენს. ტრადიციული მონაწილეობის კონტექსტში მმართველი ექპერტის როლს ასრულებს. ვაითი და მაქსვეინი (White and McSwain, 1993) აღნიშნავენ, რომ ამ კონტექსტში თანამონაწილეობის ორგანიზება ადმინისტრატორის ცენტრალურობის შენარჩუნებას ისახავს მიზნად. მოქალაქე ხდება პროფესიონალი ადმინისტრატორის „კლიენტი“, იგი არასათანადოდაა აღჭურვილი იმისათვის, რომ ეჭქვეშ დააყენოს პროფესიონალის

[6] Grant, U. (2002). Citizen participation and local government accountability.

უფლებამოსილება და ტექნიკური ცოდნა. ეს პროცესი ამკვიდრებს იმას რასაც ფიშერი (Fischer, 1993) „პრაქტიკოსი - კლიენტის იერარქიას“ უწოდებს.

ტრადიციული ჩართულობის კონტექსტში მონაწილეობა არაეფექტური და კონფლიქტურია, რაც ძირითადად თავს იჩენს პროცესის ბოლოს, გადაწყვეტილების მიღების შემდეგ. აქედან გამომდინარე, საკითხის გადასაწყვეტად საჭირო გზების ძიების ნაცვლად მოქალაქეები რეაქტიულები არიან და ხშირად მმართველის საუკეთესო ძალისხმევის წინააღმდეგ მიდიან. ადმინისტრატორები ეწინააღმდეგებიან ინფორმაციის გაზიარებას, ისინი ეყრდნობიან თავიანთ ტექნიკასა და პროფესიონალიზმს მართვის პროცესებში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მისაღებად. ასეთ შემთხვევაში მოქალაქეთა მონაწილეობა უფრო მეტად სიმბოლურია, ვიდრე რეალური (Arnstein, 1969).

ეფექტური ჩართულობა გულისხმობს ისეთ მონაწილეობას, რომელიც ავთენტურია. ავთენტური ჩართულობა ღრმა და უწყვეტი მონაწილეობაა ადმინისტრაციულ პროცესებში, სადაც ყველას აქვს პოტენციალი გავლენა იქონიოს სიტუაციაზე. ავტენტური მონაწილეობა მოითხოვს, რომ ადმინისტრატორები ფოკუსირდნენ პროცესსა და შედეგზე. ამ კონტექსტში მონაწილეობა მართვის განუყოფელი ნაწილია და არა არსებული პრაქტიკის დანამატი. ავთენტური მონაწილეობა ნიშნავს იმას, რომ საზოგადოება გადაწყვეტილების მიღებისა და განხილვის პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ამდენად, მოქალაქეებს შესაძლებლობა ეძლევათ არა მხოლოდ შეაფასონ, არამედ თავად განახორციელონ (Roberts, 1997).

ადგილობრივმა ხელისუფლებამ ხალხის მონაწილეობა შეიძლება გამოიყენოს, როგორც თემის გაძლიერების მექანიზმი. მოქალაქეთა ჩართულობის პროგრამებში თვითმმართველობამ ყურადღება უნდა გაამახვილოს ინფორმაციის გაზიარებაზე, ეფექტურ კომუნიკაციასა და მონაწილეობაზე. ინფორმირება სამოქალაქო საზოგადოების ინტერაქციის საფუძველია. საკონსულტაციო მონაწილეობა ფოკუსირდება ფორმალურ და არაფორმალურ ინტერაქციაზე, სადაც მოქალაქეებს შეუძლიათ თავიანთი შეხედულებების გამოთქმა შემოთავაზებულ წინადადებებზე. კოლაბორაცია და მონაწილეობა თვითმმართველობის წევრებსა და მოქალაქეებს

სერვისის მიწოდების გაუმჯობესების შესაძლებლობას აძლევს. საზოგადოებას ადრეულ ეტაპზე ჩართულობის შესაძლებლობა აქვს. კინგმა (Simrell King, 1998) თავის კვლევაში ძირითადი ყურადღება გაამახვილა ავთენტურ ჩართულობაზე. მისი თქმით, ხალხმა უნდა იცოდეს, რომ მათი თანამონაწილეობა არის მნიშვნელოვანი და მოსახლეობის აზრი გათვალისწინებული იქნება გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ეფექტური ჩართულობა მხოლოდ მაშინ მიიღწევა თუკი გადაწყვეტილების მიმღები ნამდვილად დაინტერესდება, მოუსმენს და გაითვალისწინებს მოქალაქეთა საჭიროებებს.

§1.3. თანამონაწილეობის ბარიერები

თანამონაწილეობის მეთოდები და პროცესები სხვა ფაქტორებთან ერთად ჩართულობის ბარიერებს ქმნის. კინგი თავის ანალიზში სამ ძირითად ბარიერზე საუბრობს: 1. თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებისეული თავისებურება; 2. ადმინისტრაციული პროცესი, ჩართულობის არსებული პრაქტიკა და 3. მონაწილეობის ტექნიკა. იმისათვის რომ გავიგოთ, რა მოიაზრება მოცემულ ბარიერებში მნიშვნელოვანია მათი განხილვა: 1. თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებისეული თავისებურება - ყოველდღიური ცხოვრების რეალობიდან გამომდინარე მონაწილეობის ბარიერები უკავშირდება მოქალაქეთა სოციალური კლასის პოზიციას და მოიცავს ისეთ ფაქტორებს როგორიცაა ტრანსპორტირება, დროში შეზღუდულობა, ბავშთა ზრუნვა და ეკონომიკური პრობლემები. ზოგიერთი ადამიანი თავის თემში უფრო აქტიურად ჩართვის სურვილს გამოხატავს, თუმცა მას ამაში ხელს უშლის ყოველდღიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საჭიროება. კინგის კვლევაში მოქალაქეები, ადმინისტრატორები და აქტივისტები თანხმდებიან, რომ არაეფექტური ჩართულობა ძირითადად დაკავშირებულია განათლების დაბალ დონესთან. 2. ადმინისტრაციული პროცესი - მონაწილეობის კიდევ ერთ ბარიერს წარმოადგენს. ეს ბარიერი პარადოქსულია. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანების უმრავლესობა მოქალაქეთა ჩართულობას სასურველად მიიჩნევს, ნებისმიერი მონაწილეობა, რომელიც ადმინისტრაციული სტატუს კვოს საწინააღმდეგოდ აღიქმება დაბლოკილია სწორედ იმ ადმინისტრატორების მიერ, რომლებსაც სურთ უფრო მეტი ჩართულობა. 3. მონაწილეობის ტექნიკები - ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ ბარიერს ის ტექნიკები წარმოადგენს, რომლებსაც ჩართულობის პროცესებში იყენებენ. ყველაზე არაეფექტურ

ტექნიკას წარმოადგენს საჯარო მოსმენები, რადგან რეალურად იგი არ მუშაობს. საჯარო მოსმენებზე დაბალი დასწრება წარმოაჩენს საჯარო აპათიას ან სტატუს კვოს მდუმარე მიღებას (Kweit and Kweit, 1981; King, Feltey, and Susel, 1998). რეალურად, დაბალი დასწრება საყოველთაო განხილვის სტრუქტურასთანაა დაკავშირებული. მთავარი პრობლემა საჯარო მოსმენის დროა, უმეტეს შემთხვევაში საჯარო განხილვები გადაწყვეტილებების მიღების შემდეგ ტარდება. იმისათვის, რომ თანამონაწილეობის პროცესი განვითარდეს აუცილებელია ადმინისტრატორებმა შეცვალონ თავიანთი პრაქტიკა. მმართველები თავად უნდა მივიდნენ იქ, სადაც მოქალაქეები არიან, ნაცვლად იმისა, რომ მოსახლეობას მოსთხოვონ მათთან მოსვლა (Kathlene and Martin, 1991).

კინგის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მოსახლეობა უფრო მეტად ისწრაფვის ჩართულობისკენ, როცა მათ რეალური შესაძლებლობა აქვთ გავლენა მოახდინონ ადმინისტრაციულ პროცესებზე და შედეგებზე. ავთენტურობა ვერ მიიღწევა მხოლოდ ერთ სფეროში პრობლემის მოგვარებით. ავთენტური ჩართულობის ბარიერების დასაძლევად მნიშვნელოვანია: 1. თემის წევრების გაძლიერება და ინფორმირება; 2. ადმინისტრატორთა გადამზადება და 3. ადმინისტრაციული სტრუქტურებისა და პროცესების ცვლილება. მოქალაქეთა გაძლიერება და ინფორმირებულობა ნიშნავს იმას, რომ მოქალაქეებს აქვთ პოტენციალი გავლენა იქონიონ გადაწყვეტილებებზე. გაზიარებული ცოდნის საფუძველზე, საზოგადოებას და ადმინისტრატორებს შესაძლებლობა ეძლევათ ერთად იმუშაონ თავიდანვე, საკითხის განსაზღვრისა და დაგეგმვის ეტაპიდან. ეფექტური მმართველობისთვის მნიშვნელოვანია მოსახლეობის საწყის ეტაპზე ჩართულობა. ადმინისტრატორების გადამზადება კი გულისხმობს მათი როლის შეცვლას და ექსპერტებიდან უფრო კოოპერატიულ პარტნიორებად ჩამოყალიბებას. რაც შეეხება ადმინისტრაციული სტრუქტურებისა და პროცესების შეცვლას, ეს ძალიან რთულია, რადგან იგი ინსტიტუციური ჩვევებისა და პრაქტიკების გარდაქმნას მოითხოვს. ბიუროკრატიის ფუნქციონირებაში რეალური ცვლილებების გარეშე, ავთენტური მონაწილეობის გაზრდა ვერ მოხდება. საჯარო ორგანიზაციებმა არა მხოლოდ ფორმალური ინსტიტუტებისა და პროცედურების დემოკრატიზაცია უნდა მაოხდინოს, არამედ არაბიუროკრატიული დისკურსისა და ორგანიზაციული ფორმებისათვის უნდა შექმნას

სივრცე. თუ ადმინისტრატორები შეცვლიან თავიანთ დამოკიდებულებას და მოქალაქეებთან პარტნიორულ ურთიერთობას დაიწყებენ, ისინი შეძლებენ შეცვალონ პრაქტიკა, რომელსაც ადმინისტრაცია მიკრო დონეზე მიმართავს. თუკი ცვლილებები მიკროდონეზე მოხდება, მაკროდონის ადმინისტრაციული სტრუქტურები და პროცესებიც აუცილებლად გარდაიქმნება.[7]

მკვლევარები ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა ეფექტური თანამონაწილეობის შემდეგ დილემებს გამოყოფენ: 1. ზომა, როგორც დილემა - თანამედროვე ადმინისტრაციული სახელმწიფოები ფართო და კომპლექსურია. მოქალაქეთა ჩართულობა დაკავშირებულია მრავალრიცხოვან ჯგუფებთან და ინდივიდებთან. პირდაპირი დემოკრატია კი ყალიბდება მცირე ჯგუფების პირისპირი შეხვედრებით და ფუნქციონირებს შედარებით შეზღუდულ საჯარო სივრცეებში. 2. მარგინალიზებული ჯგუფების დილემა - არსებობს დაუცველი და დაჩაგრული მოქალაქეები, რომლებიც რეგულარულად გამოირიცხებიან წარმომადგენლობითი დემოკრატიისგან. ხშირ შემთხვევაში ელიტური ჯგუფები ცდილობენ ძალაუფლების ხელში აღებას და მმართველ ძალას საკუთარი ინტერესების შესაბამისად მოქმედებას სთხოვენ. ყოველივე ეს ქმნის მართვის ისეთ ფორმას, რომელიც ორიენტირდება ცალკეულ ჯგუფზე და არა მთელ საზოგადოებაზე. 3. რისკისა და ტექნოლოგიის დილემა - ბევრი კომპლექსური ტექნოლოგია საფრთხეს უქმნის ინდივიდებს, საზოგადოებას და მთელს რეგიონს. მოქალაქეები კონკურენციას ვერ უწევენ პროფესიონალებს. ისინი გადაწყვეტილების მიღების პროცესში არ მონაწილეობენ, რადგან მათი დიდი ნაწილი არ ფლობს შესაბამის გამოცდილებასა და კომპეტენციას მართვის პროცესში მონაწილეობის მისაღებად. 4. დროისა და კრიზისის დილემა - გადაწყვეტილებები ხშირად მიიღება ძალიან სწრაფად მოქალაქეთა ფართო მასების მონაწილეობის გარეშე. უმეტეს შემთხვევაში მოსახლეობა ინფორმაციას იღებს უკვე მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ.[8]

---

[7] King, Feltey and Susel. (1998). The question of participation: toward authentic public participation in public administration. Public administration review

[8] Roberts, N. (2004). Public deliberation in an age of direct citizen participation

გარდამავალ ქვეყნებში მოსახლეობის ჩართულობის ხარისხი თვითმმართველობის პროცესში დაბალია. ცნობილი მკვლევრის შერი არნშტეინის სკალას თუ გამოვიყენებთ, შეიძლება ითქვას, რომ ამგვარ ქვეყნებში თანდათანობით „არმონაწილეობის“ ფაზიდან „სიმბოლური მონაწილეობის“ ფაზაზე ხდება გადასვლა.[9] მონაწილეობის დაბალი დონე დიდწილად განპირობებულია შემდეგი ბარიერებით: მოსახლეობის უნდობლობა - საზოგადოების დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ თვითმმართველობა სათანადო უფლებამოსილებას არ ფლობს და არ შესწევს ძალა მდგომარეობის რეალურად შესაცვლელად. ინფორმირებულობის ნაკლებობა - მოქალაქეებს საკმარისი ინფორმაცია არ გააჩნიათ ადგილობრივ დონეზე მონაწილეობის ფორმების შესახებ. მოსახლეობას არ აქვს სათნადო კომპეტენცია და გამოცდილება მონაწილეობის მისაღებად. დიდ სირთულეს წარმოშობს ქვეყანაში არსებული საკანონმდებლო ბაზა, რომელიც არ ქმნის ჩართულობის ეფექტურ მექანიზმებს. თვითმმართველობის წარმომადგენლები პროაქტიულები არ არიან. მათ არ აქვთ პოლიტიკური ნება მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად. ისინი არაეფექტურად იყენებენ ჩართულობის არსებულ მექანიზმებს.

§1.4. მონაწილეობითი მმართველობის შედეგები

1980-იანი წლებიდან მეცნიერებმა მნიშვნელოვანი ყურადღება გაამახვილეს ადმინისტრაციული გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობაზე. მონაწილეობა მმართველობაში აუმჯობესებს საჯარო სერვისების მიწოდებას და მთავრობის მიმართ მოქალაქეთა ნდობას ზრდის. მოქალაქეთა ჩართულობის შედეგები დამოკიდებულია: 1.მონაწილეობითი მექანიზმების მახასიათებლებზე, 2.ორგანიზაციის სტრუქტურაზე, 3.გარე ფაქტორებზე, როგორიცაა საზოგადოების ზომა, ჩართულობის ფორმები (Kweit and Kweit, 1981).

აღსანიშნავია, რომ მოქალაქეთა მონაწილეობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს მენეჯმენტის განვითარების პროცესში. საზოგადოების ჩართულობა ხელს უწყობს არსებული რესურსების საჯარო ინტერესების შესაბამისად გადანაწილებასა და მართვის ეფექტურობას (Moynihan, 2003). თანამონაწილეობა უზრუნველყოფს პოლიტიკის უკეთ

[9] Arnstein, Sh. (1969). A ladder of citizen participation

განხორციელებას, საზოგადოების საჭიროებების გაგებას, გათვალისწინებასა და თანასწორობაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებას. მოქალაქეთა მონაწილეობის მაღალ დონეს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ადგილობრივი საკითხების დაგეგმვასა და ბიუჯეტირების პროცესზე. ადგილობრივ დონეზე არსებული პრობლემების ეფექტური გადაწყვეტა შესაძლებელია საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის ჩართულობით, რადგან მათ აქვთ განსხვავებული პერსპექტივები, ინფორმაცია და ცოდნა (Kweit and Kweit, 1981). როსის თანახმად, ჩართულობა ხელს უწყობს ინკლუზიურ, თანასწორ, მონაწილეობით დაგეგმვასა და ბიუჯეტირებას, რაც სერვისის მიწოდებას აუმჯობესებს. ამდენად, მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივ დონეზე დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების ეტაპზე მნიშვნელოვანია.

ემპირიულ კვლევაზე დაყრდნობით, რომელიც აშშ-ში ადგილობრივ თვითმმართველობაში ჩართულობას სწავლობდა, ებდონი და ფრანკლინი (Ebdon and Franklin, 2006) ამტკიცებენ, რომ მონაწილეობა აუცილებელია საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად. მათი თქმით, ჩართულობის შედეგები დაფუძნებულია: 1. მონაწილეობით გარემოზე, როგორიცაა მმართველობის სტრუქტურა, ფორმა და პოლიტიკური კულტურა. 2. მონაწილეობის პროცესი, დღის წესრიგი, მონაწილეთა შერჩევის მეთოდები, 3. ჩართულობის მექანიზმები და 4. მოსალოდნელი შედეგები. ამდენად, მონაწილეობა დიდწილად დამოკიდებულია სხვადასხვა პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ ფაქტორებზე. ეს ფაქტორები მოიცავს დემოკრატიული და დეცენტრალიზებული მმართველობის სტრუქტურას, ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, მონაწილეობის მექანიზმებს და თანამშრომელთა პასუხისმგებლობას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარებული კვლევები ცხადყოფს, რომ ინსტიტუციური და პოლიტიკური ჩარჩო მონაწილეობისთვის მეტად მნიშვნელოვანია, რადგან ისინი ჩართულობის შესაძლებლობას ქმნის. პასუხისმგებლობის მაღალი დონე ზრდის ორგანიზაციის შესაძლებლობას ემსახუროს საზოგადოებრივ ინტერესებს, მოუსმინოს მოქალაქეებს, უზრუნველყოს თანაბარი შესაძლებლობა და სერვისის მიწოდება. მონაწილეობის მექანიზმი მოქალაქეს აკავშირებს საჯარო გადაწყვეტილების მიღებასთან (Yang & Pandey, 2011). მოქალაქეთა წარმომადგენლობა ზრდის მათ ნდობას

საკუთარი უფლებების დასაცავად. ჯონისა და მაკენანის (John, 2009 & McKenna, 2011) მტკიცებით, მონაწილეთა ცოდნის დონე და უნარები ხშირად განსაზღვრავს ჩართულობის პროცესსა და შედეგებს. მოქალაქეთა ჩართულობა აუმჯობესებს ადგილობრივი თვითმმართველობის ანგარიშვალდებულებას. მაგალითად, საზოგადოების მონაწილეობა ტრადიციული ანგარიშვალდებულების სისტემებს აძლიერებს და ზრდის პასუხისმგებლობას. გარდა ამისა, ის ხელს უწყობს გამჭვირვალობასა და მოქალაქეთა ნდობის მოპოვებას. ამდენად, მონაწილეობა მნიშვნელოვანი მექანიზმია მთავრობის წევრების გასაკონტროლებლად. მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ თანამონაწილეობას გარკვეული ნეგატიური შედეგებიც აქვს. მაგალითად, არსებობს რისკები იმისა, რომ ყურადღება გამახვილდება მხოლოდ ადგილობრივი ელიტის ინტერესებზე და არა მთელ საზოგადოებაზე. ოსმანის თანახმად ეს დაკავშირებულია, შესაძლებლობების, სტიმულისა და ძალაუფლების სიმცირესთან. უარყოფითი შედეგი დგება მაშინ, როცა: 1. საზოგადოებას არ გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია და საჭირო რესურსები; 2. არ ხდება თანამონაწილეობის მნიშვნელობის შეფასება; 3. ძალაუფლება არათანაბრადაა გადანაწილებული საზოგადოებაში (Osmani, 2007). ამგვარად, ეფექტური მმართველობისთვის მხოლოდ მონაწილეობა არაა საკმარისი, აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს ჩართულობის მექანიზმებზე და მიმდინარე პროცესზე.[10]

§2. საკანონმდებლო ბაზის მიმოხილვა

მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში დემოკრატიის საფუძველია, რადგან ადგილობრივი თვითმმართველობა არის ხელისუფლება ხალხისთვის და ხალხის მიერ. დემოკრატიულ სახელმწიფოში არსებულმა სამართლებრივმა ბაზამ მოქალაქეებს შესაძლებლობა უნდა მისცეს ეფექტურად ჩაერთონ მართვაში, მიიღონ სრული ინფორმაცია ხელისუფლების ორგანოებისგან, გავლენა იქონიონ ხელისუფლებაზე და დღის წესრიგში დასვან მათთვის მნიშვნელოვანი საკითხები. თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის სამართლებრივი ნორმები, ძირითადად, მოცემულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით და ორგანული კანონით

[10] Pandeya, G. (2015) Citizen participation in local government decision-making

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“. საქართველოს კონსტიტუცია და საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ (2014 წ.) თვითმმართველობას განმარტავს, როგორც მოქალაქეთა უფლებას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მეშვეობით გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები. თვითმმართველობა უპირველეს ყოვლისა მოქალაქეთა თვითორგანიზების ფორმაა და მოქალაქეთა მონაწილეობის გარეშე იგი ვერ განხორციელდება.

საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის თანახმად, ხელისუფლების წყაროა ხალხი, რომელიც თავის ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდუმის, უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმებისა და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით. კონსტიტუციის 24-ე მუხლით გარანტირებულია საქართველოს ყველა მოქალაქის უფლება ინფორმირებული იყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესის შესახებ. მოცემულ მუხლში წერია, რომ ყოველი ადამიანის უფლებაა თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით და სახელმწიფოს ან ცალკეულ პირებს არ აქვთ მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის უფლება. ადგილობრივ დონეზე მოქალაქეთა ჩართულობის გარანტიის სამართლებრივ საფუძველს ქმნის საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი, სადაც აღნიშნულია, რომ თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეების ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს აწესრიგებენ ადგილობრივი თვითმმართველობის მნიშვნელობით, სახელმწიფო სუვერენიტეტის შეულახავად, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ადგილობრივ თვითმმართველობასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება საქართველოს კონსტიტუციის მეშვიდე თავში (ადგილობრივი თვითმმართველობა), სადაც განმარტებულია, რომ „თვითმმართველი ერთეული უფლებამოსილია თავისი ინიციატივით გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით არ არის ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილება და აკრძალული არაა კანონით“.[11]

[11] საქართველოს კონსტიტუცია. იხ.ელ.ვერსია:http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/constitution-of-georgia-68

ბოლო წლებში, საქართველოში ადგილობრივი ხელისუფლებისა და დეცენტრალიზაციის კუთხით მნიშვნელოვანი რეფორმები გატარდა. ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის დებულებებთან და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და მათ მოქალაქეებს შორის კავშირების განმტკიცების მიზნით, საქართველოს ორგანულმა კანონმა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესახებ 2014 წელს „მოქალაქეთა მონაწილეობის მექანიზმები“ დააფუძნა, რომელიც მანამდე არ არსებობდა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუციაში საუბარია გარკვეულ პოლიტიკურ უფლებებზე და მონაწილეობის არაპირდაპირ ფორმებზე (მაგ., რეფერენდუმის მოთხოვნისა და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება), იგი მოქალაქეთა მონაწილეობის გარანტიებს არ იძლევა. ამასთანავე, არ არსებობს სხვა კანონმდებლობა, რომელიც ხელს შეუწყობს საზოგადოების ჩართულობას პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში. 2004 წელს „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიის რატიფიცირების შემდეგ, დღემდე საქართველოში ევროპული ქარტიის დამატებითი ოქმის რატიფიცირება მოქალაქეთა ჩართულობასთან დაკავშირებით არ მომხდარა.

აღსანიშნავია, რომ 2013 წელს დაწყებული ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზანს ადგილობრივ დონეზე მოქალაქეთა ჩართულობის გაძლიერება წარმოადგენდა. 2015 წლის ივლისში, საქართველოს პარლამენტმა განიხილა და დაამტკიცა ცვლილებათა პაკეტი, რომლის მიხედვითაც ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის შემდეგი ფორმები განისაზღვრა:

დასახლების საერთო კრება - სოფლის/დაბის/ქალაქის მოსახლეობის თვითორგანიზაციის ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამის დასახლებაში რეგისტრირებული ამომრჩევლის ამ დასახლებისა და მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის, გადაწყვეტისა და აღნიშნული მუნიციპალიტეტის ორგანოების წინაშე ინიცირების პროცესებში ქმედით ჩართულობას. საერთო კრება უფლებამოსილია: განიხილოს შესაბამისი დასახლებისთივს მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური საკითხები და მუნიციპალიტეტის

ორგანოებისათვის წარსადგენად მოამზადოს შესაბამისი წინადადებები; განიხილოს მუნიციპალიტეტში მიმდინარე და განხორციელებული პროექტები და მუნიციპალიტეტის ორგანოებისთვის წარსადგენად მოამზადოს შესაბამისი შენიშვნები და წინადადებები;

პეტიცია - მონაწილეობის ფორმა, რომლის მიხედვითაც, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 1%-ს ან საერთო კრებას შეუძლია შეიტანოს ერთობლივი განცხადება საკრებულოში. პეტიციის სახით შესაძლებელია წარდგენილ იქნეს: ა) ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი; ბ) მოსამზადებელი ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის ძირითადი პრინციპები ან კონკრეტული წინადადებები; გ) საკითხების მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე შესწავლის, განხილვისა და გადაწყვეტის მოთხოვნა. პეტიციის მომზადებისა და წარდგენის პროცედურა რეგულირდება საქართველოს ორგანული კანონი - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო - მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის/რაიონის გამგებლის სათათბირო ორგანო, რომლის შემადგენლობაში შედიან მეწარმე იურიდიული პირების არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წარმომადგენლები. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს მუნიციპალიტეტის გამგებელი/მერი/რაიონის გამგებელი და მისი შემადგენლობა განისაზღვრება არანაკლებ 10 წევრით;

მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა - სხდომები საჯაროა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ნებისმიერ პირს უფლება აქვს, წინასწარი შეტყობინების ან/და წინასწარი ნებართვის გარეშე დაესწროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მისი კომისიის საჯარო სხდომებს. საჯარო სხდომებზე დამსწრე პირებს უფლება აქვთ, დაუსვან შეკითხვები თავმჯდომარეებს, მომხსენებელს და თანამომხსენებელს.

მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენა - მუნიციპალიტეტის

გამგებელი/მერი და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ვალდებული არიან, წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, მოაწყონ საჯარო შეხვედრები მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან და წარუდგინონ მათ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ მუნიციპალიტეტის ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.[12]

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მუნიციპალიტეტს აქვს უფლებამოსილება ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის კოდექსით განსაზღვრული ფორმების გარდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვროს მოქალაქეთა ჩართულობის სხვა ფორმები, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში იქნება. 2015 წელს განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსს დაემატა 85 პრიმა მუხლი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თაობაზე. მიუხედავად ამისა, თავს იჩენს ორი მნიშვნელოვანი პრობლემა: მოქალაქეები არ ფლობენ ინფორმაციას ჩართულობის მექანიზმების შესახებ, გარდა ამისა არსებული მექანიზმები არ იძლევა ეფექტური ჩართულობისა და მოსახლეობის წინაშე არსებული პრობლემების გადაწყვეტის შესაძლებლობას. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი მოქალაქეთა თანამონაწილეობის უზრუნველყოფის საკითხს მუნიციპალიტეტებს არ განუსაზღვრავს, როგორც საკუთარ უფლება/მოვალეობას. მუნიციპალიტეტის და შესაბამისად, არც საკრებულოს საკუთარი უფლებამოსილების ჩამონათვალში არ არის მოხსენიებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა თანამონაწილეობის/ხელშეწყობის რაიმე სახით ვალდებულება, რაც ადგილობრივ დონეზე მოქალაქეთა თანამონაწილეობის ბარიერებს წარმოშობს.[13] მოქალაქეთა ჩართულობის ეფექტურობის მიზნით, აუცილებელია საკანონმდებლო რეგულაციებით უზრუნველყოფილ იქნეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა საქმიანობაში მოქალაქეთა აქტიური ჩართულობა პრობლემის

[12] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი.
იხ.ელ.ვერსია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429
[13] ყიფიანი, დ. (2016). მოქალაქეთა მონაწილეობის სტიმულირება თვითმმართველობის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამებში. თბილისი

იდენტიფიცირებაში, პროექტებისა და ალტერნატივების შექმნაში, საბიუჯეტო და ფინანსურ დაგეგმარებაში, პროექტის მიმდინარეობის მონიტორინგსა და შეფასებაში.

§3. ადგილობრივი თვითმმართველობები: მცხეთა და რუსთავი

§3.1. მცხეთა

მოსახლეობა: ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტი მცხეთა-მთიანეთის მხარის შემადგენლობაში შედის. აღნიშნულ მუნიციპალიტეტში 63 დასახლებული პუნქტია, მათ შორის 1 ქალაქი (მცხეთა) და 62 სოფელი. ქ. მცხეთა მუნიციპალური ცენტრია, მისი ფართობი 2.6 კვადრატული მეტრი, ხოლო მოსახლეობა - 7 940 (2014 წ.) კაცია. მუნიციპალიტეტის მოსახლეობას ძირითადად ეთნიკურად ქართველები შეადგენენ. ეროვნული უმცირესობები კომპაქტურადაა დასახლებული რიგ სოფლებში. მოცემულ მუნიციპალიტეტში 2014 წლის მდგომარეობით რეგისტრირებულია აზერბაიჯანელები - 587, ოსები - 834, ასირიელები 1517, სომხები - 204 და რუსები - 403.[14]

ეკონომიკური მაჩვენებელი: 2018 წლის ბიუჯეტის მიხედვით, მცხეთის მუნიციპალიტეტის შემოსავლები 14 020 ათასი ლარის ოდენობით განისაზღვრა, რაც 2017 წელს 21 803 შეადგენდა. მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 9 350 ათასი ლარია, ბიუჯეტის სხვა შემოსავლები - 1 747 ათასი ლარი, გრანტები - 2 923.0 ათასი ლარი, ხარჯები კი 13 197 ათას ლარს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი 368.0 ათასი ლარით განისაზღვრა.[15]

მოქალაქეთა ჩართულობის ინიციატივები: მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ მცხეთის მუნიციპალიტეტში მოქალაქეთა ჩართულობის მიმართულებით განხორციელებულ ინიციატივებზე. 2015-16 წლის მონაცემებით მუნიციპალიტეტში ჩატარდა 1 დასახლების საერთო კრება, დარეგისტრირებული

---

[14] მცხეთა-მთიანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2015-2021 წლებისთვის. იხ.ელ.ვერსია: http://www.mrdi.gov.ge/sites/default/files/mcxeta-mtianetis_regionis_ganvitarebis_strategia_2014-2021_clebisatvis_0.pdf

[15] მცხეთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი. იხ.ელ.ვერსია: http://mtskhetamunicipality.ge/menu/biujeti

პეტიციების რაოდენობა კი ნულის ტოლია.[16] აღნიშნული მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2017 წელს რეგისტრირებულია პეტიცია - სოფელ არაშენდას საერთო კრების მოთხოვნა - სოფელ არაშენდას გზის რეაბილიტაციის საკითხის საკრებულოს სხდომაზე შესწავლის, განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, რომელიც განხილულ იქნა საკრებულოს ბიუროს მიერ და მათი გადაწყვეტილებით, პეტიცია უფლებამოსილების შესაბამისად, განსახილველად მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს გადაეგზავნა. დარეგისტრირებული პეტიციის და მისი განხილვის შედეგების შესახებ ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე სრულად ხელმისაწვდომი არაა.

აღსანიშნავია, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტში არსებული პრაქტიკის მიხედვით, საკრებულოს წევრის, მათ შორის საკრებულოს თანამდებობის პირის მიერ მოქალაქეთა მიღების წესი მუნიციპალიტეტს არ გააჩნია, საკრებულოს წევრები მოქალაქეებს ხვდებიან დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, საჭიროებიდან გამომდინარე. ამგვარად, მოსახლეობასთან შეხვედრის პროცესი არაა რეგლამენტირებული. მოქალაქეებთან შეხვედრისას არ ხდება შეხვედრაზე დასმული საკითხების სრულად ასახვა ოქმების გამოყენებით, განხილვის შედეგებთან დაკავშირებით არ არსებობს მოქალაქეთა ინფორმირების სამართლებრივად სავალდებულო მექანიზმი. არ ქვეყნდება ინფორმაცია საკრებულოს, საკრებულოს კომისიის სხდომის გამართვის თარიღის, ადგილის და განსახილველი საკითხების შესახებ, არაა ხელმისაწვდომი განსახილველი საკითხების პროექტები, ამასთან, ინფორმაცია ქვეყნდება კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადების დარღვევით. მნიშვნელოვანია იმის თქმა, რომ სხდომაზე დასწრება შეუძლია ნებისმიერ პირს, დამატებითი ბარიერის გარეშე, სხდომათა დარბაზში გამოყოფილია საკმარისი ადგილები, მოთხოვნის შემთხვევაში რიგდება დღის წესრიგი და განსახილველი საკითხების პროექტების ასლები, თუმცა ადგილების სიმცირის შემთხვევაში, საკრებულო ვერ უზრუნველყოფს სხდომის ტრანსლაციას სხდომის დარბაზის გარეთ.

[16] თვალთვაძე, ნ. (2017), ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის არსებული მექანიზმების შეფასება საქართველოში

სხდომაზე დამსწრე პირს ეძლევა აზრის გამოთქმის შესაძლებლობა საკრებულოს თავჯდომარის თანხმობით.

საკრებულოს აქტით განსაზღვრულია საკრებულოს საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის დამატებითი ფორმები, აღნიშნული ფორმების გამოყენება ქმნის მოქალაქეთა მონაწილეობის ფართო შესაძლებლობებს, თუმცა ხელმისაწვდომი არაა და აღნიშნული ფორმები პრაქტიკაში არ გამოიყენება. საკრებულოსა და საკრებულოს კომისიის სხდომებში მოქალაქეთა ჩართულობის დონე მინიმალურია, მოსახლეობა არ ესწრება სხდომებს. რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციებს, ისინი მეტნაკლებად აქტიურად არიან ჩართულნი გამგეობის მუშაობის პროცესში, ხშირად ხდება მათი დასწრება საკრებულოს სხდომებსა თუ შეხვედრებზე, თუმცა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას ამ ორგანიზაციების მონაწილეობის ეფექტიანობა. მოქალაქეთა ჩართულობის გასაზრდელად მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის საკრებულომ ხელმისაწვდომი გახადოს ინფორმაცია საკრებულოს საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმების შესახებ, რისთვისაც აუცილებელია ინფორმაცია გამოქვეყნდეს პროაქტიულად და გავრცელდეს მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე. ამასთანავე, მუნიციპალიტეტის საკრებულომ ხელი უნდა შეუწყოს მართვის პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის დამატებითი ფორმების პრაქტიკაში აქტიურ გამოყენებას.[17]

§3.2. რუსთავი

მოსახლეობა: ქალაქი რუსთავი ქვემო ქართლის რეგიონულ ცენტრს წარმოადგენს, რომლის ტერიტორიაც 60.6 კვადრატული მეტრია. რუსთავი საქართველოს ერთ-ერთი დიდი და მზარდი ქალაქია. 2014 წლის მონაცემებით მისი მოსახლეობა 123 103 კაცს შეადგენს, მოსახლეობის სიმჭიდროვე კი 2081.8 კაცი/კვადრატულ მეტრზე. აღნიშნულ ქალაქში რეგისტრირებულია 102 151 ქართველი, 4993 აზერბაიჯანელი, 3563 რუსი და 2809 სომეხი (2014 წელი).[18]

[17] კიღურაძე, კ. & სანებლიძე, ნ. (2017). მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში - მონიტორინგი და რეკომენდაციები

[18] საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია. იხ.ელ.ვერსია: http://nala.ge/climatechange/geo/municipalities/municipalities-2/244-tvitmmartveli-qalaqi-rustavi

ეკონომიკური მაჩვენებელი: 2018 წლის ბიუჯეტის მიხედვით ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის შემოსავლები 34 784,6 ათასი ლარის ოდენობით, გრანტები - 15 840,0 ათასი ლარით, სხვა შემოსავლები 5 344,6 ათასი ლარით განისაზღვრა. მოცემული ბიუჯეტის თანახმად გადასახადები 13 600.0 ათას ლარს, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები კი 31 221.0 ათას ლარს შეადგენს. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი 500.0 ათასი ლარია.[19]

მოქალაქეთა ჩართულობის ინიციატივები: აღსანიშნავია, რომ რუსთავის მუნიციპალიტეტის ორგანოები ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის სხვადასხვა ფორმას იყენებენ. აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების პირველი პირები მუდმივად ხვდებიან მოქალაქეებს როგორც საგანგებოდ შერჩეულ დღეებში ორგანიზებული მიღების ფორმით, ისე ყოველდღიურად. ასევე, პერიოდულად აწყობენ შეხვედრებს და პირადად აცნობენ მოსახლეობას ინფორმაციას ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გაწეული საქმიანობისა და დაგეგმილი პროექტების შესახებ. მუნიციპალიტეტის ორგანოების ანგარიშვალდებულების ხარისხის გაზრდის მიზნით ქალაქ რუსთავის მერის ბრძანებით შეიქმნა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, რომელიც სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებისგან შედგება. გარდა ამისა, მოქალაქეთა ჩართულობის ფორმებად განისაზღვრება დასახლების საერთო კრება და პეტიცია.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო - მუნიციპალიტეტის მერის სათათბილო ორგანო, რომელიც შედგება მეწარმე იურიდიული პირების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წარმომადგენლებისგან. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს მუნიციპალიტეტის მერი. აღნიშნული საბჭო იკრიბება არანაკლებ 3 თვეში ერთხელ. 2015 წელს ქ. რუსთავის მერმა მიიღო ბრძანება „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“. მუნიციპალიტეტში 2016 წლის მარტში გაიმართა

[19] ქალაქ რუსთავის 2018 წლის ბიუჯეტი. იხ.ელ.ვერსია: http://rustavi.gov.ge/file_manager/16/5b710a4b5eeddd470b27bfa5eb43bca6.pdf

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომა, რომელიც გაცნობითი ხასიათის იყო. 2017 წელს კი ქალაქ რუსთავში სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს 3 სხდომა ჩატარდა.

დასახლების საერთო კრება - ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის თვითორგანიზაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ამომრჩევლის ამ დასახლებისა და მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების წინაშე ინიცირების პროცესში ქმედით ჩართულობას. საერთო კრების წევრი მონაწილეობას იღებს მხოლოდ იმ დასახლების საერთო კრებაში, სადაც ახორციელებს მფლობელობას/საკუთრებას ან/და რეგისტრირებულია ამ ტერიტორიაზე. რუსთავის მუნიციპალიტეტში საერთო კრებების შექმნისა და საქმიანობის წესი რეგულირდება „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა“ და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 24 დეკემბრის N 139 დადგენილებით. მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ 2016 წლის პირველ ნახევარში, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების დიდ ნაწილში გაიმართა დასახლების საერთო კრებები. დღემდე რუსთავში ჩატარებული დასახლების საერთო კრებების რაოდენობა 466-ს შეადგენს.

პეტიცია - პეტიციის წარდგენის უფლება აქვს რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 1%-ს და საერთო კრებას. პეტიცია იწერება და მისი შეტანა ხდება მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე. აღსანიშნავია, რომ 2015 წლის ივლისიდან დღემდე რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პეტიცია არ დარეგისტრირებულა.[20]

2016 წელს ქალაქ რუსთავის მერიამ დაიწყო ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „ადგილობრივი მონაწილეობითი ბიუჯეტირება ქალაქ რუსთავში“ განხორციელება. პროექტი მიზნად ისახავს ქ.რუსთავის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობისათვის მონაწილეობითი ბიუჯეტირების დანერგვაში დახმარების

[20] კიღურაძე, კ. & სანებლიძე, ნ. (2017). მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში - მონიტორინგი და რეკომენდაციები

გაწევას. ადგილობრივი მონაწილეობითი ბიუჯეტირება შეიძლება გავიგოთ როგორც პროცესი, სადაც მოქალაქეები და საჯარო მოხელეები ერთობლივად განსაზღვრავენ, განიხილავენ და პრიორიტეტს ანიჭებენ პროექტებს, რომლებიც საჯარო სახსრებით ფინანსდება. ახალი პრაქტიკის შემოღება მიმართული არის ანგარიშვალდებულებისა და ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებათა მიღებაში მოქალაქეების ჩართულობის ზრდისკენ, რათა საბოლოოდ ყოველივე ამან ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი ხარჯების უფრო ეფექტურ განაწილებასა და მუნიციპალური ბიუჯეტის პრიორიტეტული საკითხების დაფინანსებისკენ მიმართვას. ამ ეტაპზე, მონაწილეობითი ბიუჯეტირება არცთუ ისე ეფექტურია. მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ ეფექტური მმართველობის მისაღწევად მოქალაქეთა თანამონაწილეობა არა მხოლოდ ფისკალურ, არამედ პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ დონეზე უნდა მოხდეს.[21]

[21] მუნტერსი, პ. (2016). რუსთავის ადგილობრივი მონაწილეობითი ბიუჯეტირების სახელმძღვანელო პრინციპები

II თავი - ნაშრომის ემპირიული ნაწილი

სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგად რამდენიმე მნიშვნელოვანი მიგნება გამოვლინდა. მიღებული შედეგების მიხედვით, ადგილობრივ დონეზე ძალაუფლება საკმარისად დეცენტრალიზებული არაა. მოქალაქეთა მონაწილეობაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ინფორმირებულობისა და განათლების დონეს. ჩართულობის ბარიერები დაკავშირებულია არსებული საკანონმდებლო ბაზის ხარვეზთან. ასევე, დადგინდა, რომ ადმინისტრატორებსა და მოსახლეობას არ აქვთ პოლიტიკური ნება საზოგადოებამ მონაწილეობა მიიღოს მართვის პროცესში. ხშირ შემთხვევაში გადაწყვეტილებები ცენტრალურ დონეზე მიიღება, მოქალაქეებისთვის ცნობილი კი ამის შემდეგ ხდება. ყოველივე ეს ხელს უშლის თანამონაწილეობითი მმართველობის განვითარებას.

ინფორმაცია რეპონდენტებზე: რაოდენობრივი კვლევის მეთოდით (ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარი) მონაცემთა შეგროვება მოხდა 200 რესპონდენტისგან. ამათგან, 50 ქ. მცხეთის და 150 ქ. რუსთავის მაცხოვრებელი იყო. თვისებრივი კვლევის მეთოდით კი გამოიკითხა 14 ადამიანი. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ჩატარდა 8 სიღრმისეული ინტერვიუ: რუსთავში გამოიკითხა თვითმმართველობის ოთხი წევრი: რუსთავის მერიის აპარატის სერვისების განვითარებისა და საქმისწარმოების განყოფილების უფროსი, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე, ადმინისტრაციის უფროსი და პროექტის „ადგილობრივი მონაწილეობითი ბიუჯეტირება ქალაქ რუსთავში“ ასისტენტი. ქალაქ მცხეთაში კი სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა ვიცე მერთან, მერის მოადგილესთან, სოციალური სამსახურის უფროსთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის უფროსის მრჩეველთან. თვისებრივი კვლევის მეთოდით ინფორმაციის მიღება მოხდა აღნიშნულ ქალაქებში არსებული არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებისგანაც. კერძოდ, კვლევაში მონაწილეობა მიიღო შემდეგმა ორგანიზაციებმა: „სამოქალაქო განვითარების სააგენტო“ (სიდა), „საგანმანათლებლო ინიციატივების ქართული ასოციაცია“ (სიქა) (რუსთავში) და „უკეთესი მომავლისთვის“ (მცხეთაში). სიღრმისეული ინტერვიუ

ჩატარდა არასამთავრობო სექტორის 6 წარმომადგენელთან, აქედან 3 რუსთავში და 3 მცხეთაში.

§2.1. ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენელთა კვლევა

მოქალაქეთა მონაწილეობის მნიშვნელობა

რუსთავის თვითმმართველობის წევრები თანხმდებიან იმაზე, რომ მონაწილეობითი მმართველობა დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის უმთავრესი წინაპირობაა. მათი თქმით, საზოგადოების ყველა ჯგუფს მართვის პროცესში მონაწილეობის თანაბარი საშუალება უნდა ჰქონდეს, რათა მოსახლეობამ შეძლოს საკუთარი ინტერესებისა და პრიორიტეტების წინ წამოწევა და ლოკალურ დონეზე მიმდინარე პროცესებზე გავლენის მოხდენა. რესპონდენტების აზრით, თანამონაწილეობა ერთი მხრივ მოქალაქეთა საჭიროებების გათვალისწინებას უზრუნველყოფს, მეორე მხრივ კი ზრდის ადგილობრივი ხელისუფლების ლეგიტიმაციის ხარისხს, საზოგადოების ნდობას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას, ანგარიშვალდებულებასა და გამჭვირვალობას, რადგან სწორედ ხალხის ინტერესებს ემსახურება. თვითმმართველობის ერთ-ერთმა წევრმა აღნიშნა, რომ ახალი პროექტი რუსთავში - „ინოვაციების ჰაბი“ - მოქალაქეთა გააქტიურების გზების ძიებისკენაა მიმართული და მიზნად ისახავს ინოვაციური იდეების გენერირების გზით სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაზრდას. აღნიშნული რესპონდენტის თქმით, ძირითადი ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, თუ როგორ მოხდება გადაწყვეტილების მიღების პროცესში ხალხის შეხედულებების გაზიარება. რუსთავის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ყურადღება გაამახვილეს მონაწილეობით ბიუჯეტირებაზე. მათ აღნიშნეს, რომ ადგილობრივი მონაწილეობითი ბიუჯეტის პროექტმა გააქტიურა საზოგადოება და ხელი შეუწყო რესურსების ეფექტურ გადანაწილებას.

რუსთავის თვითმმართველობის წევრების მსგავსად, მცხეთის მერიის წარმომადგენლებმაც ისაუბრეს თანამონაწილეობითი მმართველობის მნიშვნელობაზე. მათი აზრით, თვითმმართველობაში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა

ხელმძღვანელი ორგანოების მიერ სწორი გადაწყვეტილებების დაგეგმვასა და განხორციელებას უზრუნველყოფს. რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ საქართველოს პოლიტიკური და ინსტიტუციური სისტემა ღიაა მოქალაქეთა მონაწილეობისთვის, თუმცა მართვის პროცესში საზოგადოების ძალიან მცირე ნაწილია ჩართული. მცხეთის თვითმმართველობის წევრები თვლიან, რომ მოქალაქეები არ ცდილობენ ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობას, ამის მიზეზად კი ისინი მოსახლეობის განათლებისა და ინფორმირებულობის დაბალ დონეს ასახელებენ. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, მოქალაქეები მხოლოდ მაშინ ერთვებიან, როდესაც პრობლემა უშუალოდ მათ აწუხებთ.

„ინფორმირებულობა ნაკლებია, მაგრამ თუნდაც იყვნენ ინფორმირებული, მაინც ზერელედ უყურებენ საკითხს. ბოდიში, ესე ვიტყვი, სანამ თავიანთ კუჭზე არ გაივლის ნაკლებად აინტერესებთ, თუ პირადად მათ არ შეეხება.“

აღსანიშნავია, რომ კინგი ეფექტური მმართველობის წინაპირობად საჯარო მონაწილეობას ასახელებს. მისი აზრით, მნიშვნელოვანია ადგილობრივი ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების ერთობლივი თანამშრომლობა. იგი თვლის, რომ ინფორმირებული მოქალაქეების ჩართულობით სოციალური სამართლიანობა მიიღწევა.

არსებული საკანონმდებლო ბაზის შეფასება

რუსთავის თვითმმართველობის წევრები თანხმდებიან იმაზე, რომ კანონმდებლობით გათვალისწინებული ჩართულობის ფორმების, კერძოდ პეტიცია და დასახლების საერთო კრება, განხორციელება ძალიან რთულია. მათი თქმით, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, ანგარიშის მოსმენა და კომისის სხდომაზე დასწრება ფორმალურ ხასიათს ატარებს, რადგან რეალურ მონაწილეობას არ უზრუნველყოფს. კვლევაში მონაწილე ყველა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ ეფექტური მონაწილეობის მისაღწევად აუცილებელია არსებული საკანონმდებლო ბაზის დახვეწა და განვითარება. ადგილობრივი ხელისუფლების ერთ-ერთი წარმომადგენლის თქმით, მოქალაქეთა მონაწილეობა ხშირ შემთხვევაში სიმბოლური და დეკორატიულია, რადგან ისინი გავლენას ვერ ახდენენ გადაწყვეტილებებზე. იგი ამის მიზეზად ასახელებს იმას, რომ

ბიუჯეტი ცენტრალურ ხელისუფლებაზეა მიბმული. მისი თქმით, ადგილობრივი ხელისუფლება საკმარისად დეცენტრალიზებული არაა, რაც თანამონაწილეობის პროცესში მნიშვნელოვან ბარიერებს წარმოშობს.

რაც შეეხება მცხეთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს, რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ არსებული საკანონმდებლო ბაზა სრულად უზრუნველყოფს მოქალაქეთა ჩართულობას. ორი რესპონდენტის თქმით, ხშირ შემთხვევაში დეპუტატი გადის ლოკაციაზე და ანგარიშს აბარებს ხალხს. მათ აღნიშნეს, რომ მერია შეხვედრაზე თავად იწვევს მოსახლეობას, რათა მონაწილეობის დონე გაიზარდოს და საზოგადოების პრობლემების შესახებ ინფორმაციის მიღება სრულად მოხდეს. მცხეთის თვითმმართველობის ერთ-ერთი წევრის თანახმად, ადგილობრივი ხელისუფლება მოქალაქეებს საჭიროების მიხედვით ხვდება. მისი თქმით, მერიის თანამშრომლები სხვადასხვა ფორმალურ თუ არაფორმალურ შეხვედრაზე ქალაქის მოსახლეობას მიმართავენ და სთხოვენ, რომ უფრო აქტიურად მიიღონ მონაწილეობა და გამოთქვან თავიანთი შეხედულებები. ამგვარად, რუსთავის თვითმმართველობის წევრებმა კანონმდებლობისა და მმართველობის დონეზე არსებული ხარვეზებით ახსნეს მოქალაქეთა პასიურობა. მცხეთის მერიის წარმომადგენლები კი თვლიან, რომ თვითმმართველობაში მოსახლეობის მონაწილეობის დაბალი დონე საზოგადოებაში პოლიტიკური ნების არარსებობითაა განპირობებული. მიღებული შედეგების თანახმად, რუსთავისა და მცხეთის მოსახლეობა კანონმდებლობით გათვალისწინებული მონაწილეობის მექანიზმებიდან რამდენიმეს იყენებს, თუმცა მათი ჩართულობის ინტენსივობა ძალიან დაბალია. ამის გამომწვევ მიზეზად უმთავრესად მოსახლეობის ინფორმირებულობის ნაკლებობა და საკანონდმებლო ბაზის ხარვეზი შეიძლება დავასახელოთ.

პრაქტიკაში არსებული თანამონაწილეობის მექანიზმები

რუსთავის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ყურადღება გაამახვილეს ჩართულობის შემდეგ ფორმებზე: სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო და მონაწილეობითი ბიუჯეტირება. რესპონდენტთა თქმით, მოქალაქეთა ჩართულობას უზრუნველყოფს მერიის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო. თვითმმართველობის წევრები

სისტემატიურ შეხვედრებს ატარებენ მოსახლეობასთან. გამოკითხულთა აზრით, ჩართულობის გაზრდა დიდწილად განაპირობა თანამონაწილეობითმა ბიუჯეტმა. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, მხოლოდ ერთი აქტივობა ან ერთი ღონისძიება მუნიციპალიტეტში არსებული ვითარების გასაუმჯობესებლად საკმარისი არაა, მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით გარკვეული ქმედებების განხორციელება, რადგან ეს გრძელვადიანი პროცესია. რუსთავის მერიის წევრებმა აღნიშნეს, რომ თვითმმართველობის საქმიანობაში უფრო მეტად ჩართულები არიან საპენსიო ასაკის ადამიანები, რომლებსაც მძიმე სოციალური მდგომარეობა აქვთ. ისინი ახალგაზრდების პასიურობას საზოგადოების ამ სეგმენტის დაბალი ინტერესით ხსნიან.

მცხეთის თვითმმართველობის წარმომადგენლების თანახმად, მოცემულ მუნიციპალიტეტში უმთავრესად ტარდება საკრებულოს სხდომები, რომლებიც გამჭვირვალე და საჯაროა, ინფორმაცია სხდომის შესახებ იდება საიტზე და მასზე დასწრება ყველას შეუძლია. რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ხშირ შემთხვევაში მოსახლეობასთან პირად შეხვედრებს მართავენ. ურთიერთობა მიმდინარეობს რწმუნებულისა და დეპუტატის დონეზე. რუსთავის ადგილობრივი ხელისუფლების წევრების მსგავსად, მცხეთის მერიის წარმომადგენლები იზიარებენ მოსაზრებას, რომ მართვის პროცესში ძირითადად უხუცესები არიან ჩართული, რომლებმაც კარგად იციან ის, თუ რა არის მუნიციპალიტეტში გასაკეთებელი. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, ახალგაზრდების პასიურობა განპირობებულია იმით, რომ საზოგადოების ამ ნაწილს არ აქვს დრო და ინტერესი თანამონაწილეობის მისაღებად. კვლევის შედეგების მიხედვით, მცხეთასა და რუსთავში ჩართულობის გარკვეულ ფორმებს იყენებენ, თუმცა ამას რეალური შედეგები არ მოყვება. არნშტეინის (Arnstein, 1969) თანახმად, ასეთი მონაწილეობა უფრო მეტად სიმბოლურია, ვიდრე რეალური. ჩართულობის არსებული მექანიზმები ფორმალურ ხასიათს ატარებს, რადგან მათი გამოყენება სირთულეს წარმოადგენს. ხშირ შემთხვევაში ადმინისტრატორები ეჭქვეშ აყენებენ საზოგადოების კომპეტენციას, ყოველივე ეს კი თანამონაწილეობის ბარიერებს ქმნის.

მოქალაქეთა ჩართულობის ბარიერები

რუსთავის თვითმმართველობის წარმომადგენლების თანახმად, მართვის პროცესში მოქალაქეთა არაეფექტური ჩართულობა უმთავრესად განპირობებულია ნიჰილიზმით, მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე ძალიან დაბალია. მათ არ იციან როგორ უნდა ჩაერთონ და რა მოლოდინები ჰქონდეთ ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ.

„მოსახლეობამ არ იცის როგორ მუშაობს თვითმმართველობა, რა უფლებამოსილებები და კომპეტენცია აქვს მას, როგორ ხდება გადაწყვეტილების მიღება და ა.შ. რაც განათლებისა და ინფორმირებულობის პრობლემაზე მეტყველებს. ამიტომ, აუცილებელია ხელისუფლებამ თავიდანვე ხელი შეუწყოს გარკვეული პროგრამებით და საინფორმაციო კამპანიებით მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას.“

გამოკითხული რესპონდენტების თქმით, საზოგადოებას მმართველი ძალის მიმართ ნდობა არ აქვს. მოქალაქეები თვლიან, რომ მათ შეხედულებებს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში არ გაითვალისწინებენ, ამიტომ ისინი არ მონაწილეობენ. ერთ-ერთი რესპოდენტის თანახმად, თანამონაწილეობითი მმართველობის უზრუნველსაყოფად არ არსებობს პოლიტიკური ნება როგორც საზოგადოებაში, ასევე ხელისუფლებაში. თეორიულად ბევრს უნდა მონაწილეობა, პრაქტიკაში კი ეს ციფრი გაცილებით ნაკლებია. აღნიშნული რესპონდენტი ერთ-ერთ მთავარ ბარიერად ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობას ასახელებს. მისი აზრით, ადამიანებს რომლებსაც პირველადი მოთხოვნილებები აქვთ დასაკმაყოფილებელი დემოკრატიულ ფასეულობებზე ორიენტირება უჭირთ და ვერ აცნობიერებენ მონაწილეობის მნიშვნელობას. იგი თვლის, რომ უნდა შეიქმნას ისეთი სივრცეები, სადაც ადამიანები შეძლებენ საკუთარი აზრების თავისუფლად გამოხატვასა და დაფიქსირებას.

რუსთავის მერიის წევრების მსგავსად, მცხეთის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებიც მიიჩნევენ, რომ მოქალაქეთა ჩართულობის დაბალი დონე განპირობებულია ინფორმირებულობისა და განათლების დაბალი დონით. მცხეთაში გამოკითხული თვითმმართველობის წევრები თვლიან, რომ მოსახლეობას კარგად არ

აქვს გაცნობიერებული ის, თუ რისი უფლება აქვს და რა როლი ეკისრება გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ამიტომ არ მონაწილეობს. მცხეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არაეფექტური მონაწილეობა დაკავშირებულია ინფრასტრუქტურულ პრობლემებთან. კერძოდ, მან ისაუბრა ტრანსპორტირებისა და ელექტრონულ სისტემებთან (ინტერნეტი) წვდომის პრობლემაზე. მოცემული რესპონდენტის თანახმად, მცხეთაში არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობა ძალიან დაბალია, მისი თქმით, ისინი არ ურთიერთობენ მოსახლეობასთან და არ ცდილობენ მათი ინტერესებისა თუ უფლებების დაცვას. საინტერესოა, რომ სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლინდა რამდენიმე ისეთი ბარიერი, რომელზეც კინგი თავის კვლევაში საუბრობს (საზოგადოების ცხოვრებისეული თავისებურება, ადმინისტრაციული პროცესი და მონაწილეობის ტექნიკა). ჩვენს ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობა მოსახლეობის დიდი ნაწილის მონაწილეობას აფერხებს - მოქალაქეები უმთავრესად ყოველდღიური ცხოვრებისეული საჭიროებების დაკმაყოფილებაზე ორიენტირდებიან და დრო არ რჩებათ თანამონაწილეობისთვის. ამასთანავე, არაეფექტურია კანონმდებლობით გათვალისწინებული მონაწილეობის ფორმები, რადგან მათ გამოსაყენებლად საზოგადოების რიგით წევრებს საჭირო კომპეტენცია და უნარები არ გააჩნიათ. ადმინისტრაციულ პროცესს რაც შეეხება, ხშირად ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლება გადაწყვეტილებებს საზოგადოების აზრის გათვალისწინების გარეშე იღებს.

თანამონაწილეობის გაზრდა

რუსთავის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები თანხმდებიან იმაზე, რომ მოქალაქეთა ჩართულობის გასაზრდელად ინიციატივები საჯარო მოხელეებისგან, არასამთავრობო სექტორისგან და ადგილობრივი მოსახლეობისგან უნდა მომდინარეობდეს. მათი აზრით, სამივე აქტორის მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია.

„ერთიც, მეორეც და მესამეც ძირითადი აქტორები არიან. სახელმწიფო სექტორმა უნდა უზრუნველყოს ღია და გამჭვირვალე პოლიტიკური სივრცის არსებობა,

სამოქალაქო სექტორმა მოქალაქეებს უნდა ასწავლოს ჩართულობის მექანიზმების სწორი გამოყენება, ხოლო ადგილობრივმა მოსახლეობამ უნდა იაქტიუროს და ძალიან ხშირად „შეაწუხოს“ ადგილობრივი თვითმმართველობა პროცესებში მონაწილეობის სურვილით.“

რუსთავის თვითმმართველობის წევრები თვლიან, რომ მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა შესაძლებელია მონაწილეობის ინოვაციური და არაორდინალური მეთოდების გამოყენებით (რუსთავის მერიაში შეიქმნა ინოვაციების ჰაბი, რომლის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია სწორედ ესაა), წარმატებული მაგალითების პოპულარიზაციით და მოსახლეობასთან ინტენსიური კონტაქტით. ამასთანავე, მათი თქმით, მნიშვნელოვანია საზოგადოებაში არსებობდეს პოლიტიკური ნება. რესპონდენტების აზრით, მონაწილეობითი მმართველობა მიიღწევა განათლების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფითა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებით.

მცხეთის თვითმმართველობის წევრებიც რუსთავის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების მსგავსად თვლიან, რომ მოქალაქეთა ჩართულობის ინიციატივები ყველა მხრიდან უნდა წამოვიდეს. გამოკითხულთა თქმით, მნიშვნელოვანია მოქალაქეთა ეფექტური მონაწილეობის მიზნით საინფორმაციო კამპანიების წარმოება და ადგილობრივების ინფორმირებულობის დონის გაზრდა. მათ აღნიშნეს, რომ ამ ეტაპზე ისინი ჩართულობის გასაზრდელად ინფორმაციას ავრცელებენ სხვადასხვა საინფორმაციო წყაროს (ფეისბუქი, ვებ-გვერდი და სხვა) მეშვეობით. ამას გარდა, ისინი პირადად აწყობენ სხვადასხვა ოფიციალურ თუ არაოფიციალურ შეხვედრებს მოსახლეობასთან და სთხოვენ მათ მართვის პროცესში აქტიურ მონაწილეობას, თუმცა ეს ჯერ-ჯერობით საკმარისი არაა. რესპონდენტთა აზრით, მონაწილეობის გასაზრდელად უფრო მეტად უნდა გააქტიურდეს მოსახლეობა და არსამთავრობო ორგანიზაციები.

კინგის თანახმად, ეფექტური ჩართულობის მისაღწევად მმართველი ნამდვილად უნდა დაინტერესდეს, მოუსმინოს და გაითვალისწინოს მოქალაქეების საჭიროებები. მისი თქმით, მოქალაქეები მხოლოდ მაშინ გააქტიურდებიან, როდესაც ისინი

გააცნობიერებენ, რომ მათ აზრი გათვალისწინებული იქნება გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

§2.2. არასამთავრობო ორგანიზაციების წევრების კვლევა

მონაწილეობითი მმართველობის დადებითი ეფექტები

რუსთავის არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ მონაწილეობითი მმართველობა დემოკრატიის უმთავრესი ფასეულობების გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და პასუხისმგებლობის ზრდას უზრუნველყოფს. მათი აზრით, პოლიტიკური და ინსტიტუციური სისტემა ღია უნდა იყოს, რათა საზოგადოებას აქტიური მონაწილეობა შეეძლოს. ერთ-ერთი რესპონდენტის აზრით, ჩართულობის გზით მოსახლეობას განხორციელებული საქმიანობის მიმართ მიკუთვნებულობის გრძნობა უყალიბდება, რაც სამოქალაქო პასუხისმგებლობას ზრდის და ხელს უწყობს ეფექტურ მმართვეობას. იგი თვლის, რომ თანამონაწილეობა საჯარო ინტერესების გათვალისწინებასა და არსებული რესურსების ეფექტურ გამოყენებას უზრუნველყოფს.

რუსთავში გამოკითხული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების მსგავსად, მცხეთის არასამთავრობო სექტორის წევრებმაც ისაუბრეს მოქალაქეთა ჩართულობის მნიშვნელობაზე. მათ აღნიშნეს, რომ ადგილობრივ დონეზე მონაწილეობა საზოგადოებას შესაძლებლობას აძლევს ნათლად წარმოაჩინოს საკუთარი მოთხოვნები. მონაწილეობაზე დაფუძნებული მმართველობა კი ბიუჯეტის ეფექტურ დაგეგმარებასა და ხალხის საჭიროებების შესაბამისად მოქმედებას უზრუნველყოფს. სწორედ ამიტომ, რესპონდენტების აზრით, ქვეყანაში უნდა შეიქმნას ისეთი პოლიტიკური და ინსტიტუციური სისტემა, რომელიც მოქალაქეთა ჩართულობას უზრუნველყოფს.

მონაწილეობის მექანიზმების შეფასება

რუსთავის არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელების თანახმად, მოსახლეობის დიდმა ნაწილმა არ იცის ჩართულობის რა ფორმები არსებობს და როგორ შეიძლება მათი გამოყენება. ორი რესპონდენტის აზრით, კანონმდებლობით

გათვალისწინებული მონაწილეობის მექანიზმები მეტნაკლებად უზრუნველყოფს საზოგადოების ჩართულობას. გამოკითხვაში მონაწილე ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით განსაზღვრული მოქალაქეთა ჩართულობის ფორმები პრაქტიკულად არც ერთ თვითმმართველ ერთეულში ეფექტურად არ მოქმედებს. მისი აზრით, ამ მექანიზმების გამოსაყენებლად მოსახლეობას სათანადო ცოდნა და პრაქტიკული უნარები არ გააჩნია.

მცხეთაში გამოკითხულმა რესპონდენტებმა მეტნაკლებად დადებითად შეაფასეს არსებული საკანონმდებლო ბაზა. მათი თქმით, ჩართულობის არსებული მექანიზმები გარკვეულწილად უზრუნველყოფს მოქალაქეთა აქტიურ მონაწილეობას. ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ აღსრულების ნაწილში გარკვეული პრობლემები ჩნდება. მისი თქმით, ხშირად მოსახლეობამ არ იცის როგორ მიიღოს მონაწილეობა და რისი უფლება აქვს მას, რაც ხელს უშლის საზოგადოების ეფექტურ მონაწილეობას. ამგვარად, ორივე ქალაქის არასამთავრობო ორგანიზაციების წევრები მიიჩნევენ, რომ არსებული საკანონმდებლო ბაზა ნაწილობრივ უზრუნველყოფს მოქალაქეთა ჩართულობას. აღნიშნულ საკითხზე საუბრის დროს, რეპონდენტებმა ყურადღება გაამახვილეს საზოგადოების ინფორმირებულობის ნაკლებობაზე. მათი აზრით, მოქალაქეთა პასიურობა განპირობებულია თანამონაწილეობისთვის საჭირო ცოდნისა და უნარების არარსებობით. კინგის მიხედვით, ინფორმირებულობა ნიშნავს იმას, რომ მოქალაქეებს აქვთ პოტენციალი გავლენა იქონიონ გადაწყვეტილებებზე. გაზიარებული ცოდნის საფუძველზე, საზოგადოებასა და ადმინისტრატორებს გადაწყვეტილებების ერთობლივად მიღების შესაძლებლობა ეძლევათ, ამიტომ მნიშვნელოვანია მოსახლეობისთვის ინფორმაციის დროული მიწოდება.

მოქალაქეთა ჩართულობა ადგილობრივ თვითმმართველობებში

კვლევაში მონაწილე რუსთავის არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ადგილობრივ თვითმმართველობაში მოსახლეობის ძალიან მცირე ნაწილია ჩართული. რესპონდენტების თანახმად, საზოგადოება ძირითადად ბიუჯეტის განხილვის პროცესში მონაწილეობს. მათი თქმით, გადაწყვეტილებებს ცენტრალური ან ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები იღებენ, რის გამოც აღარ რჩება

სივრცე თანამონაწილეობისთვის. რაც შეეხება უშუალოდ არასამთავრობო სექტორის ჩართულობას, კვლევაში მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ გარკვეული საკითხების (მაგ., სტრატეგიული დაგეგმარება, სკოლამდელი აღზრდის სერვისის გაუმჯობესება, გენდერის საკითხები) განხილვის დროს ადგილობრივი ხელისუფლება თავად იწვევს სამოქალაქო სექტორს მონაწილეობის მისაღებად, თუმცა ეს ფორმალურ ხასიათს ატარებს. რესპონდენტების თანახმად, ისინი დაინტერესების შემთხვევაში სიტუაციისა და შესაძლებლობების მიხედვით პირადად ერთვებიან საკრებულოს განხილვებში.

მცხეთის არასამთავრობოების წარმომადგენლებიც იზიარებენ მოსაზრებას, რომ მოსახლეობა აქტიურად ჩართული არაა. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, ადგილობრივი ხელისუფლება მოქალაქეებთან შეხვედრებს არ აწყობს, არ ხდება ქალაქში მიმდინარე პროექტების ერთობლივი დაგეგმვა, რაც არაეფექტურ მმართველობაზე მეტყველებს.

„ჩემი აზრით, საზოგადოება არაა ჩართული, რადგან ადგილობრივი ხელისუფლება თავს არ იწუხებს მოსახლეობასთან შეხვედრებით, დისკუსიებით, პროექტების ერთობლივი დაგეგმვით და ა.შ.“

ორი რესპონდენტის აზრით, თვითმმართველობის მცდელობა მონაწილეობა მიაღებინოს საზოგადოებას ფასადურია, რადგან რეალურად მოქალაქეების შეხედულებებისა და მოთხოვნების გათვალისწინება არ ხდება. მათი თქმით, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების პროექტები მიმართულია მოსახლეობის გააქტიურებისკენ და მუნიციპალიტეტის განვითარებისკენ, თუმცა მესამე სექტორის მოქმედებებს ეფეტური შედგები არ მოსდევს, რადგან ეს ორმხრივი პროცესი არაა. ამგვარად, ორივე მუნიციპალიტეტის არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ადგილობრივ დონეზე სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა ფორმალურ ხასიათს ატარებს. აღნიშნულ თვითმმართველობებში არსებული ვითარება ძალიან გავს ტრადიციული ჩართულობის ტიპს, სადაც მმართველი ექპერტის როლს ასრულებს. ვაითისა და მაქსვეინის (White and MsSwain, 1993) თანახმად, ამ კონტექსტში მმართველი ცენტრალურ როლს ინარჩუნებს,

მოქალაქეებს კი ადმინისტრატორების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ეჭქვეშ დასაყენებლად ძალა არ შესწევთ.

თანამონაწილეობის ბარიერები

რუსთავში გამოკითხული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები თანხმდებიან იმაზე, რომ მონაწილეობის ერთ-ერთ უმთავრეს ბარიერს ინფორმირებულობისა და სამოქალაქო განათლების დაბალი დონე წარმოადგენს. მათი თქმით, მოქალაქეები არ ფლობენ სათანადო უნარებს ეფექტური მონაწილეობისთვის. ერთ-ერთი რესპონდენტის თანახმად, ბარიერებს ქმნის ის, რომ თვითმმართველობა სამოქალაქო სექტორს პარტნიორად და პროცესის მონაწილედ არ განიხილავს. მისი აზრით, მოსახლეობის ჩართულობა ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ინიცირებულ პროცესებში არაეფექტური და ფასადურია. მეორე რესპონდენტის თანახმად, საქართველოს პოლიტიკური და ინსტიტუციური სისტემა საკმარისად ღია არაა. ხელისუფლების წარმომადგენლებს არ აქვთ შესაბამისი ცოდნა და მზადყოფნა, მათ არ აქვთ გაცნობიერებული საზოგადოების ჩართულობის მნიშვნელობა, ამიტომ ხშირად მონაწილეობით მმართველობას ხელს უშლიან. კიდევ ერთი რესპონდენტის თქმით, თვითმმართველობა მონაწილეობის პროცესს მხოლოდ ფორმალურად უჭერს მხარს. მისი აზრით, ბიუჯეტის განხილვაზე არასაკმარისად ვრცელდება ინფორმაცია მოსახლეობაში, არ ხდება მოქალაქეების სტრატეგიული ხედვის გათვალისწინება. აღნიშნული რესპონდენტი თვლის, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობას არაპირდაპირი კომუნიკაცია და არასამთავრობოების იდეების უგულებელყოფა აფერხებს.

რუსთავში გამოკითხული რესპონდენტების მსგავსად, მცხეთის არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ თანამონაწილეობის ერთ-ერთ ძირითად ბარიერს ინფორმაციის ნაკლებობა წარმოადგენს. მოსახლეობის დიდმა ნაწილმა არ იცის რისი უფლება აქვს და როგორ იქონიოს გავლენა ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილებებზე.

„ინფორმაციის ნაკლებობაა. მოსახლეობამ არ იცის, რომ მათ უფლება აქვთ აქტიურად ჩაერიონ თვითმმართველობის მუშაობაში. ნაწილმა, შეიძლება, იცის, მაგრამ არ იცის ტექნიკურად როგორაა ეს შესაძლებელი.“

ერთ-ერთი რესპონდენტის თანახმად, განათლების პრობლემა არა მხოლოდ მოსახლეობის დონეზეა, არამედ ეს საკითხი მწვავედ დგას საჯარო მოხელეებთან მიმართებაშიც. არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის თქმით, ადგილობრივი ხელისუფლება ვერ აცნობიერებს თანამონაწილეობის მნიშვნელობას, მას არ აქვს პოლიტიკური ნება საზოგადოების აქტიური ჩართულობის უზრუნველსაყოფად. სწორედ ამის გამო საზოგადოება არ ენდობა თვითმმართველობის წევრებს, რაც თანამონაწილეობის სერიოზულ ბარიერებს ქმნის. კვლევაში მონაწილე პირებმა აღნიშნეს, რომ საჯარო მოხელეები ხელს უშლიან არასამთავრობო ორგანიზაციების გააქტიურებასაც. რესპონდენტების თქმით, თვითმმართველობის წევრები მესამე სექტორის ჩართულობას საფრთხედ აღიქვამენ, ამიტომ არასამთავრობოების წინააღმდეგ სხვადასხვა ხერხს მიმართავენ.

„საჯარო მოხელეებისთვის აუცილებლად კარგი იქნებოდა მოქალაქეების ჩართვა, მაგრამ ისინი სხვანაირად ფიქრობენ და გონიათ, რომ მოქალაქეების ჩართვა დამატებითი „თავის ტკივილი“ იქნება. ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, განათლებისა და ინფორმირებულობის პრობლემა გვაქვს როგორც საჯარო მოხელეების დონეზე, ასევე მოქალაქეების დონეზეც.“

ოქუის (Oquaye,1995) თანახმად, საჯარო მოხელეების გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენა მხოლოდ ინფორმირებულ და განათლებულ მოქალაქეებს შეუძლიათ. მისი თქმით, როდესაც ადამიანმა იცის როგორ ჩაერთოს, ის უფრო აქტიურად მონაწილეობს და ცდილობს მისი ცოდნა თუ გამოცდილება თანამონაწილეობის უზრუნველსაყოფად გამოიყენოს.

მოქალაქეთა ჩართულობის ბარიერების დაძლევა

რუსთავში გამოკითხული არასამთავრობოების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ეფექტური მმართველობის გაზრდა და არსებული ბარიერების დაძლევა

შესაძლებელია საზოგადოების ინფორმირებულობისა და განათლების დონის ზრდით. მათი თქმით, აუცილებელია თვითმმართველობამ გამოიყენოს ინფორმაციის გავრცელების სხვადასხვა საშუალება. ერთ-ერთი რესპონდენტის აზრით, ჩართულობის მიღწევა შესაძლებელია ყოველდღიური კომუნიკაციითა და საზოგადოებაში ნდობის აღდგენით. მისი თქმით, თვითმმართველობამ გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა იკვლიოს მოსახლეობის აზრი და მათი საჭიროებების შესაბამისად იმოქმედოს. რესპონდენტების თანახმად, თანამონაწილეობაზე დაფუძნებული მმართველობის უზრუნველსაყოფად ისინი ხელს უწყობენ ინფორმირებულობის გაზრდას და პარტნიორული ურთიერთობის დამყარებას მოსახლეობასა და ხელისუფლებას შორის. რუსთავის არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ თანამონაწილეობის მისაღწევად ინიციატივა სამივე დონეზე მნიშვნელოვანია. მათი თქმით, სახელმწიფო აქტორებმა ხელი უნდა შეუწყონ მოქალაქეთა ჩართულობას, მიაწოდონ მათ საჭირო ინფორმაცია და მოუსმინონ მოსახლეობას. არასამთავრობო სექტორმა დიალოგის პროცესში მოქალაქეებსა და ხელისუფლებას შორის მედიატორის როლი უნდა შეასრულოს. მოსახლეობამ კი საკუთარი პასუხისმგებლობა უნდა გააცნობიეროს და უფრო აქტიურად ჩაერთოს მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრაში.

მცხეთაში გამოკითხული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმაც სამგანზომილებიანი დინამიკის ეფექტურობაზე ისაუბრეს. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, წარმატებული შედეგის მისაღებად საჯარო მოხელეებმა ხელი უნდა შეუწყონ მოქალაქეთა აქტიურ მონაწილეობას, მათ გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მოსაზრებები უნდა გაიზიარონ და უზრუნველყონ ნდობის ჩამოყალიბება. სამოქალაქო სექტორმა კი ყველა დაინტერესებულ მხარეს საჭირო ინფორმაცია უნდა მიაწოდოს, რადგან თუკი მოქალაქეს არ ექნება სათანადო ინფორმაცია და მონაწილეობის შესაძლებლობა იგი აქტიურად ვერ ჩაერთვება.

„ჩართულობის ინიცირება, პირველ რიგში, უნდა მოხდეს ადგილობრივი ხელისუფლებისაგან. თვითმმართველობის წევრებმა უნდა მოიწვიონ, მოუსმინონ და დაეხმარონ საზოგადოებას პრობლემების მოგვარებაში. როდესაც მოქალაქემ არ იცის როდის ტარდება საკრებულოს სხდომა და რა საკითხები განიხილება ის ვერ მოახერხებს აქტიურად და შედეგიანდ ჩართვას.“

რესპონდენტებმა ასევე ისაუბრეს ძალაუფლების დეცენტრალიზაციის აუცილებლობაზე. მათი თქმით, ადგილობრივ ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს პოლიტიკური ნება მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად. ასევე, მათი აზრით, მნიშვნელოვანია საზოგადოების განვითარება და განათლების დონის ამაღლება, რადგან განათლება ხელს უწყობს საზოგადოების მიერ საკუთარი როლის გაცნობიერებას და მის გააქტიურებას. ერთ-ერთი რესპონდენტის თანახმად, უნდა მოხდეს საკანონმდებლო ბაზის დახვეწა. გამოკითხულთა თქმით, ისინი ცდილობენ მოქალაქეებს მიაწოდონ საჭირო ინფორმაცია მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესების შესახებ, თუმცა მოსახლეობას ხელისუფლების მიმართ ნდობა არ აქვს და არ ცდილობს მონაწილეობას. სწორედ ამიტომ, არასამთავრობოები თვლიან, რომ ინიციატივები პირველ რიგში თვითმმართველობისგან უნდა წამოვიდეს, რათა მათ მოიპოვონ ნდობა საზოგადოებაში და უზრუნველყონ ადგილობრივი მაცხოვრებლებისა და მესამე სექტორის ეფექტური თანამონაწილეობა.

ამგვარად, რუსთავისა და მცხეთის არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები თვლიან, რომ ინიციატივები ყველა დაინტერესებული მხარისგან უნდა წამოვიდეს. მათ მნიშვნელოვნად მიაჩნიათ, ძალაუფლების გადანაწილება, საზოგადოების ინფორმირებულობის დონის გაზრდა და პოლიტიკური ნების არსებობა. ტენდლერის (Tendler, 1997) თანახმად, ეფექტური დეცენტრალიზაციისთვის მნიშვნელოვანია ცენტრალური და ადგილობრივი, ასევე სამოქალაქო საზოგადოების კოლაბორაცია. იგი თვლის, რომ ცენტრალიზაციის გაზრდა ადგილობრივ დონეზე პოლიტიკური შედეგების გაუმჯობესების წინაპირობაა.

§2.3. რაოდენობრივი კვლევის ანალიზი

თანამონაწილეობის მნიშვნელობა

ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხული მოქალაქეების უმეტესობა მიიჩნევს, რომ საზოგადოების ჩართულობა საჯარო ინტერესების გათვალისწინებას უზრუნველყოფს. მათი თქმით, თვითმმართველობა უკეთესად

ახდენს მოსახლეობის საჭიროებების იდენტიფიცირებას, ამიტომ მნიშვნელოვანია ადგილობრივ დონეზე თანამონაწილეობა.

რაოდენობრივ კვლევაში მონაწილე რესპონდენტების 43% თვლის, რომ მოქალაქეთა ჩართულობა ხელს უწყობს საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებას; 11.1%-ის აზრით, მონაწილეობითი მმართველობა უზრუნველყოფს ნდობის მოპოვებას; 25.5%-ის თანახმად, ხელს უწყობს რესურსების ეფექტურ გამოყენებას; გამოკითხულთა 20.4%-ის თქმით, კი - უზრუნველყოფს ანგარიშვალდებულებასა და გამჭვირვალობას. (იხ.დანართი N1.1) შეკითხვაზე - რატომ არის ადგილობრივ დონეზე მოქალაქეთა ჩართულობა მნიშვნელოვანი, რესპონდენტთა უმეტესობამ (32.8%) გასცა პასუხი - ადგილობრივ ხელუსუფლებას უკეთესად შეუძლია ხალხის საჭიროებების იდენტიფიცირება; 20.9%-ის აზრით, თვითმმართველობა უკეთესად არის მორგებული არსებულ რეალობას; 18.8%-ის თანახმად, ლოკალურ დონეზე ადმინისტრატორებს სწრაფი რეაგირების უნარი აქვთ; 12.2% თვლის, რომ ადგილობრივი ხელისუფლება ახლოსაა ხალხთან; 8.8%-ის თქმით, თვითმმართველობა უზრუნველყოფს ნდობის მოპოვებას, გამოკითხული ადამიანების 6.5% კი მიიჩნევს, რომ ადგილობივი მთავრობა ორიენტირებულია სიღარიბის დაძლევაზე. (იხ. დანართი N1.2) მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სამოქალაქო საზოგადოების გარკვეული ნაწილი თანამონაწილეობის მნიშვნელობას აცნობიერებს და თუკი მოსახლეობას მონაწილეობის რეალური შესაძლებლობა ექნება იგი უფრო აქტიურად ჩაერთვება.

საკანონმდებლო ბაზის შეფასება

გამოკითხული მოსახლეობის ნახევარზე მეტი (78%) მიიჩნევს, რომ არსებული საკანონმდებლო ბაზა ნაწილობრივ უზრუნველყოფს მოქალაქეთა მონაწილეობას, 20%-ის თანახმად, საერთოდ არ უზრუნველყოფს, 2% კი თვლის, რომ საქართველოს კანონმდებლობა სრულად უზრუნველყოფს საზოგადოების ჩართულობას. (დანართი N1.3) მიღებული შედეგები შეიძლება ავხსნათ იმით, რომ კანონმდებლობით გათვალისწინებული მონაწილეობის მექანიზმების უმეტესობა პრაქტიკაში არ გამოიყენება. საზოგადოების დიდმა ნაწილმა არ იცის როგორ ჩაერთოს

თვითმმართველობაში, მათთვის სირთულეს წარმოადგენს თანამონაწილეობის არსებული ფორმების გამოყენება.

მოქალაქეთა ჩართულობის პრაქტიკა

სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ორივე ქალაქში (მცხეთა, რუსთავი) მოსახლეობის უმეტესობა საერთოდ არ იღებს მონაწილეობას ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

კვლევის შედეგების თანახმად, მცხეთაში გამოკითხული მოქალაქეების ნახევარზე მეტი (66%) ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში საერთოდ არ მონაწილეობს; რესპონდენტთა 17%-ის თქმით, ისინი ესწრებიან საკრებულოს სხდომებს; 15%-მა დააფიქსირა პასუხი - საჯარო შეკრებებზე დასწრება; 4%-მა დემონსტრაციებში მონაწილეობა; დადგინდა, რომ გამოკითხული ადამიანების მხოლოდ 2%-ს აქვს ხელი მოწერილი პეტიციაზე. აღსანიშნავია, რომ კვლევაში მონაწილე მცხეთის არც ერთ მაცხოვრებელს არ დაუფიქსირებია პასუხი - დასახლების კრებაზე დასწრება და ადგილობრივ ხელისუფლებასთან პირადად დაკავშირება.

მცხეთის მსგავსად, რუსთავში ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხული ადამიანების უმეტესობა (63.3%) საერთოდ არ იღებს მონაწილეობას თვითმმართველობაში; მოცემულ შეკითხვაზე რესპონდენტთა 23.3%-მა დააფიქსირა პასუხი - საჯარო შეკრებებზე დასწრება; 8%-მა - დასახლების საერთო კრებაზე დასწრება; 4%-მა - დემონსტრაციებში მონაწილეობა; რესპონდენტთა 3.3%-ის თქმით, ისინი პირადად უკავშირდებიან ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს; 5.3% კი საკრებულოს სხდომებს ესწრება; რუსთავში გამოკითხული რესპონდენტებიდან არც ერთს არ უთქვამს, რომ პეტიციაზე აქვს ხელი მოწერილი. (იხ. დანართი N1.4) მოქალაქეების პასიურობა შეიძლება ავხსნათ იმით, რომ მათ არ აქვთ ნდობა ხელისუფლების მიმართ. ისინი ფიქრობენ, რომ მათი აზრი გადაწყვეტილების მიღების პროცესში არ იქნება გათვალისწინებული. ამასთანავე, მოსახლეობის დიდი ნაწილი არაა ინფორმირებული მონაწილეობის მექანიზმების შესახებ და არ იცის როგორ გამოიყენოს ის.

საინტერესოა, რომ რესპონდენტთა მხოლოდ 27.4%-ს აქვს მიღებული მონაწილეობა ქალაქში მიმდინარე პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებაში, 72.6%-ს კი არა. მიღებული შედეგები შეიძლება ავხსნათ იმით, რომ ხშირ შემთხვევაში გადაწყვეტილებებს ცენტრალური ხელისუფლება იღებს. (იხ.დანართი N1.5)

კვლევის შედეგების თანახმად, ადგილობრივ დონეზე მეტნაკლებად აქტიურად მონაწილეობს მეორე ასაკობრივი ჯგუფი, თვითმმართველობის საქმიანობაში ყველაზე ნაკლებად ჩართული კი მესამე ასაკობრივი ჯგუფია. ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, ადგილობრივ ხელისუფლებაში საზოგადოების ჩართულობა ასეთია: პირველი ასაკობრივი ჯგუფი: გამოკითხული რესპონდენტების 12.6% იყენებს მონაწილეობის ერთ ფორმას მაინც, 21% კი საერთოდ არ იღებს მონაწილეობას თვითმმართველობაში. მეორე ასაკობრივი ჯგუფი: 21.1% იყენებს ადგილობრივ ხელისუფლებაში მონაწილეობის მექანიზმებს, 13.5% - არ მონაწილეობს. მესამე ასაკობრივი ჯგუფი: 6.5% ლოკალურ დონეზე მონაწილეობს, 25.3% კი გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობას არ იღებს. (იხ. დანართი N1.6) ჩატარებული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მეორე ასაკობრივ ჯგუფს მონაწილეობის მიმართ ყველაზე დიდი ინტერესი აქვს და შესაბამისად მეტ დროს უთმობს ადგილობრივ დონეზე ჩართულობას.

მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ იმაზე, თუ რა გავლენა აქვს განათლების დონეს ადგილობრივ თვითმმართველობაში საზოგადოების მონაწილეობაზე. მიღებული შედეგების მიხედვით, უმაღლესი განათლების მქონე ადამიანების 31.8% ჩართულობის გარკვეულ ფორმას იყენებს, 21.5% კი საერთოდ არ მონაწილეობს. ადგილობრივ დონეზე მონაწილეობას იღებს არასრული უმაღლესი განათლების მქონე - 1.8%, არ მონაწილეობს 4.7%; მონაწილეობს პროფესიული განათლების მქონე - 4.8%, არ მონაწილეობს - 12.1%; თვითმმართველობაში მონაწილეობას იღებს სრული საშუალო განათლების მქონე - 1.8%, არ მონაწილეობს 19.2; კვლევაში მონაწილე არასრული საშუალო განათლების მქონე ადამიანები საერთოდ არ იყენებენ ჩართულობის მექანიზმებს (არ მონაწილეობს 2.3%). (იხ. დანართი N1.7) კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება ვთქვათ, რომ უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე ადამიანები მეტნაკლებად ინფორმირებული არიან ჩართულობის

ფორმების შესახებ და იციან როგორ მიიღონ მონაწილეობა თვითმმართველობაში, შესაბამისად ისინი უფრო აქტიურად იყენებენ მონაწილეობის მექანიზმებს.

საინტერესოა, რომ რესპონდენტთა ნახევარზე მეტი (72%) არ ეთანხმება მოსაზრებას - კმაყოფილი ვარ იმ შესაძლებლობებით, რაც მაქვს იმისთვის, რომ მონაწილეობა მივიღო ქალაქის პრობლემების გადაწყვეტაში, არც ეთანხმება და არც უარყოფს - 24.5%, ხოლო ეთანხმება - 3.5%. (იხ. დანართი N1.8)

მოსაზრებას - მე შემიძლია სხვებთან ერთად მუშაობით ცვლილებები მოვახდინო ადგილობრივ თვითმმართველობაში მიმდინარე პროცესებზე არ ეთანხმება გამოკითხულთა 49%, არც ეთანხმება და არც უარყოფს - 34.5%, ეთანხმება - 16.5%. (იხ. დანართი N1.9)

კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხული ადამიანების უმეტესობა (75.5%) საერთოდ არ მიმართავს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს, 23.5%-ის თქმით, მიმართვების ინტენსივობა ცვალებადია, რესპონდენტთა 1-% კი თვეში რამდენჯერმე მიმართავს. (იხ. დანართი N1.10) მიღებული შედეგები შეიძლება ავხსნათ იმით, რომ საზოგადოების დიდმა ნაწილმა არ იცის როგორ დაუკავშირდეს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს. ასევე, მოსახლეობის უმეტესობა მიიჩნევს, რომ თვითმმათველობას არ აქვს საკმარისი ძალაუფლება ადგილობრივ დონეზე ცვლილებების განსახორციელებლად.

მოსახლეობის ინფორმირებულობა

აღსანიშნავია, რომ კვლევაში მონაწილე მოსახლეობის 32.5%-მა იცის როგორ ჩაერთოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში, თუმცა რესპონდენტების უმეტესობა უკმაყოფილოა იმ შესაძლებლობებით, რაც მათ აქვთ მონაწილეობის მისაღებად, მოქალაქეებს ადგილობრივ თვითმმართველობაში მიმდინარე პროცესებზე ცვლილებების მოხდენა არ შეუძლიათ. ამასთანავე, ისინი საკმარისად ინფორმირებული არ არიან ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობის შესახებ. ყოველივე ეს მონაწილეობის ბარიერებს ქმნის.

გამოკითხული რესპონდენტების 32.5% ეთანხმება მოსაზრებას - ვიცი როგორ ჩავერთო ადგილობრივი პრობლემების გადაჭრისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. მოცემულ მოსაზრებას არც ეთანხმება და არც უარყოფს რესპონდენტთა თითქმის ნახევარი (45.5%), ხოლო არ ეთანხმება 22%. (იხ. დანართი N 1.11)

კვლევაში მონაწილე რესპონდენტების უმეტესობა (49.5%) არ ეთანხმება მოსაზრებას - მე ვიცი სად მივიღო ინფორმაცია იმის შესახებ თუ რას აკეთებს ადგილობრივი ხელისუფლება, არც ეთანხმება და არც უარყოფს - 35%, ეთანხმება - 15.5%. (დანართი N1.12)

გამოკითხულთა ნახევარზე მეტი (57.5%) არ ეთანხმება მოსაზრებას - ვიცი როგორ დავუკავშირდე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, რესპონდენტთა 27.5% - არც ეთანხმება და არც უარყოფს, 15% - ეთანხმება. (იხ. დანართი N1.13)

კვლევის შედეგების თანახმად, გამოკითხული რესპონდენტების 37,5% ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის შესახებ ინფორმაციას ტელევიზიის გზით იღებს, 27.4% - ინტერნეტის მეშვეობით, 8.3% - თვითმმართველობის ვებგვერდით, რესპონდენტების 12.3% ინფორმირებული ხდება თვითმმართველობასთან შეხვედრებით, 0,4%-მა თქვა, რომ ინფორმაციას იღებს ბეჭდური მედიის დახმარებით, გამოკითხულთა 14.1% არ ფლობს ინფორმაციას ქალაქში მიმდინარე მოვლენების შესახებ. (დანართი N1.14) როგორც მოსალოდნელი იყო ინფორმაციის მიღების ყველაზე გავრცელებულ საშუალებას ტელევიზია წარმოადგენს, რადგან ის საზოგადოების თითქმის ყველა სეგმენტისთვისაა ხელმისაწვდომი. მიღებული შედეგების მიხედვით, საზოგადოების დიდი ნაწილი თვითმმართველობაში მონაწილეობის მისაღებად საჭირო ინფორმაციას არ ფლობს, რითაც მოქალაქეთა ჩართულობის დაბალი დონე შეიძლება ავხსნათ.

მონაწილეობის ბარიერები

ორივე ქალაქში გამოკითხულმა რესპონდენტებმა სამ ძირითად ბარიერზე გაამახვილეს ყურადღება, ესენია: პოლიტიკური ნების არარსებობა, არაკომპეტენტური საზოგადოება და ცენტრალური ხელისუფლების მიერ გადაწყვეტილებების მიღება.

მცხეთაში მოსახლეობის უმეტესობამ მთავარ ბარიერად გადაწყვეტილების ცენტრალურ დონეზე მიღება დაასახელა, რუსთავში კი - პოლიტიკური ნების არარსებობა.

კვლევაში მონაწილე რესპონდეტების 20.7% მიიჩნევს, რომ მთავარ ბარიერს - ცენტრალური ხელისუფლების მიერ გადაწყვეტილებების მიღება წარმოადგენს; გამოკითხულთა 20.2%-მა ბარიერად პოლიტიკური ნების არარსებობა დაასახელა; 18.3%-ის აზრით, საზოგადოებას მონაწილეობის მისაღებად საჭირო კომპეტენცია არ აქვს; 13.5%-ის თქმით, საჯარო მოხელეებს თანამონაწილეობის გასაზრდელად საჭირო უფლებამოსილებები არ გააჩნიათ; 10.6%-ის თანახმად, საკანონმდებლო ბაზა არასრულია; ამასთანავე, რესპონდენტთა 10.6% მიიჩნევს, რომ მოქალაქეთა მონაწილეობას ცენტრალური ხელისუფლება უშლის ხელს; 6%-ის თქმით, კი ბარიერებს ადგილობრივი ხელისუფლება წარმოშობს. (იხ. დანართი N1.15)

მცხეთაში გამოკითხული რესპონდენტების 52%-მა თანამონაწილეობის ბარიერად გადაწყვეტილებების ცენტრალურ დონეზე მიღება დაასახელა; გამოკითხულთა 50%-ის აზრით, მოსახლეობის დიდ ნაწილს მართვის პროცესში მონაწილეობის მისაღებად საჭირო კომპეტენცია არ გააჩნია; 44% თვლის, რომ ადმინისტრატორებსა და საზოგადოების წევრებს არ აქვთ პოლიტიკური ნება ადგილობრივმა მოსახლეობამ მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკის შემუშავების პროცესში. კვლევაში მონაწილე მოქალაქეების 22%-მა მონაწილეობის ბარიერებზე დასმულ შეკითხვას გასცა პასუხი - ცენტრალური ხელისუფლება უშლის ხელს, 16%-მა - საჯარო მოხელეები შესაბამის უფლებამოსილებებს არ ფლობენ, 12%-მა - საკანონმდებლო ბაზა არასრულია, 8%-მა - ადგილობრივი ხელისუფლება უშლის ხელს. (იხ. დანართი N1.16)

კვლევაში მონაწილე რუსთავის მოსახლეობის უმეტესობა (42.3%) თვლის, რომ თანამონაწილეობის ბარიერებს პოლიტიკური ნების არარსებობა წარმოშობს; რესპონდენტთა 40%-ის თქმით, ცენტრალური ხელისუფლება გადაწყვეტილებებს მოსახლეობის მონაწილეობის გარეშე იღებს; 34%-ს მიაჩნია, რომ საზოგადოებას არ აქვს შესაბამისი კომპეტენცია; 32%-ის აზრით, მონაწილეობის გასაზრდელად საჯარო მოხელეებს სათანადო უფლებამოსილები არ გააჩნიათ; 26.7%-მა დააფიქსირა პასუხი - საკანონმდებლო ბაზა არასრულია, 22%-მა - ცენტრალური ხელისუფლება უშლის ხელს,

12.7%-მა - ადგილობრივი ხელისუფლება უშლის ხელს. (იხ. დანართი N1.17) მიღებული შედეგები შეიძლება ავხსნათ იმით, რომ საქართველოში დემოკრატიული პროცესები ჯერ კიდევ საწყის ეტაპზეა და მოქალაქეთა ჩართულობის მნიშვნელობა მმართველი ძალისა და თავად საზოგადოების მიერ კარგად გაცნობიერებული არაა. შესაბამისად, არ არსებობს პოლიტიკური ნება მონაწილეობის მისაღებად. ამას ემატება ისიც, რომ ადგილობრივ დონეზე ძალაუფლება საკმარისად გადანაწილებული არაა.

საინტერესოა ისიც, რომ რესპონდენტთა 34.8%-ის აზრით, არსებობს საფრთხე იმისა, რომ ყურადღება გამახვილდება მხოლოდ ადგილობრივი ელიტის ინტერესებზე, 53.8%-ს ამ საკითხთან დაკავშირებით პასუხის გაცემა გაუჭირდა, 11.4% კი თვლის, რომ მსგავსი საფრთხე არ არსებობს. (იხ. დანართი N1.18) მიღებული შედეგები შეიძლება ავხსნათ იმით, რომ ხშირად ხდება მარგინალიზებული ჯგუფების საჭიროებების უგულებელყოფა და ადგილობრივ დონეზე ძალაუფლების გადანაწილების შემთხვევაშიც კი, ცალკეული ჯგუფები საკუთარი პირადი ინტერესების შესაბამისად მოქმედებენ. ოსმანის (Osmani, 2007) თანახმად, მონაწილეობის ერთ-ერთი ნეგატიური შედეგი სწორედ ადგილობრივი ელიტის ინტერესებზე ორიენტირება შეიძლება გახდეს.

აქტორები, რომელთაგანაც ინიციატივები უნდა წამოვიდეს

კვლევაში მონაწილე მოსახლეობის 39.5% თვლის, რომ მოქალაქეთა ჩართულობის ინიციატივა ცენტრალური ხელისუფლებისგან უნდა წამოვიდეს, 36.7%-ის აზრით, მოსახლეობა და ადგილობრივი ხელისუფლება ერთობლივად უნდა შეეცადოს თანამონაწილეობის გაზრდას, რესპონდენტთა 10.5% ამ პასუხისმგებლობას ადგილობრივ ხელისუფლებას ანიჭებს, 13% - არასამთავრობო ორგანიზაციებს, 0.3% კი თვლის, რომ თანამონაწილეობის ინიციატივა მოსახლეობისგან უნდა წამოვიდეს. (იხ. დანართი N1.19) კვლევის შედეგები შეიძლება ავხსნათ იმით, რომ ძალაუფლება საკმარისად დეცენტრალიზებული არაა. ამასთანავე, მოსახლეობის გარკვეული ნაწილი აცნობიერებს სხვადასხვა აქტორის ჩართულობის მნიშვნელობას და საკუთარ პასუხისმგებლობას თანამონაწილეობის უზრუნველყოფის პროცესში.

თანამონაწილეობის გაზრდის გზები

გამოკითხული რესპონდენტების 36.7% თვლის, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის პროცესში მოქალაქეთა თანამონაწილეობის გაზრდა ძალაუფლების დეცენტრალიზაციითაა შესაძლებელი; 35.2%-ის აზრით, აუცილებელია საზოგადოების ინფორმირებულობის დონის გაზრდა; 14.7% გამოსავალს, საკანონმდებლო ბაზის დახვეწაში ხედავს, 13.4% კი თვლის, რომ უნდა მოხდეს მოქალაქეთა ინტერესების გათვალისწინება. (იხ. დანართი N1.20) კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, შეიძლება ვთქვათ, რომ მონაწილეობის ბარიერების დაძლევა მნიშვნელოვან ცვლილებებს საჭიროებს. აუცილებელია უფლებამოსილებებისა და რესურსების გადანაწილება, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, საკანონმდებლო ხარვეზების დროული და სრულფასოვანი აღმოფხვრა. რადგან მოსახლეობის დიდი ნაწილი არ ფლობს ინფორმაციას ქალაქში მიმდინარე პროცესების შესახებ და არ იცის როგორ გამოიყენოს ჩართულობის ფორმები.

რეკომენდაციები

ჩატარებული კვლევის საფუძველზე მომზადდა შემდეგი რეკომენდაციები:

- უნდა მოხდეს საზოგადოების ინფორმირებულობის დონის გაზრდა, რაც გააუმჯობესებს მოსახლეობისა და ხელისუფლების კომუნიკაციას და მოქალაქეებს მონაწილეობის შესაძლებლობას მისცემს;
- გადაწყვეტილების მიღების პროცესში საჯარო ინტერესები უნდა იქნეს გათვალისწინებული.
- აუცილებელია ადგილობრივი ხელისუფლების რეალური დეცენტრალიზაცია;
- საჭიროა, მოხდეს კანონმდებლობით განსაზღვრული ჩართულობის ფორმების გაუმჯობესება და პრაქტიკაში აქტიურად გამოყენება;
- მნიშვნელოვანია, არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის კოორდინაცია, რაც რესურსების ეფექტურ გამოყენებას უზრუნველყოფს.

დასკვნა

მოცემული ნაშრომი, რუსთავისა და მცხეთის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების, არასამთავრობო ორგანიზაციების წევრებისა და მოსახლეობის კვლევის საფუძველზე, შეისწავლის ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა ჩართულობის ბარიერებს.

კვლევაში მონაწილე სამივე სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლები თანხმდებიან იმაზე, რომ თვითმმართველობის პროცესში მოსახლეობის ჩართულობის დონე ძალიან დაბალია. მიღებული შედეგების თანახმად, თანამონაწილეობის დაბალი დონე განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით: კვლევაში მონაწილე რესპონდენტების უმეტესობა მიიჩნევს, რომ მოსახლეობა არ ფლობს სათანადო კომპეტენციასა და გამოცდილებას მონაწილეობის მისაღებად. ასევე, საზოგადოების დიდი ნაწილი არაა ინფორმირებული ქალაქში მიმდინარე პროცესების შესახებ და არ იცის როგორ გამოიყენოს ჩართულობის არსებული ფორმები. შესაბამისად, მოსახლეობა აქტიურად ვერ მონაწილეობს თვითმმართველობის საქმიანობაში. გამოკითხულთა თქმით, მმართველი ცენტრალურ როლს ინარჩუნებს, მოქალაქეებს კი არ შესწევთ ძალა გავლენა იქონიონ ადმინისტრატორების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე. ამგვარად, კვლევის პირველი ჰიპოთეზა დადასტურდა, რომელიც შემდეგში მდგომარეობდა - ადგილობრივ ხელისუფლებაში მოქალაქეთა მონაწილეობის დაბალი დონე დაინტერესებული მხარეების ტრადიციული დამოკიდებულებებითაა განპირობებული (თვითმმართველობის წევრები მოქალაქეებს მართვის პროცესში მონაწილეობის მისაღებად არაკომპეტენტურად მიიჩნევენ). მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ საკვლევ ქალაქებში ძირითადად ტრადიციული ჩართულობის ტიპს იყენებენ. ვაითისა და მაქსვეინის (White and McSwain, 1993) თანახმად, მონაწილეობის აღნიშნულ კონტექსტში მოქალაქე „კლიენტი“ ხდება, რომელსაც არ აქვს სათანადო კომპეტენცია პროფესიონალი მმართველის გადაწყვეტილებების ეჭქვეშ დასაყენებლად, ამიტომ იგი მნიშვნელოვან პროცესებში ვერ მონაწილეობს.

ჩატარებული კვლევის შედეგად დადასტურდა კიდევ ერთი ჰიპოთეზა - ინფორმირებული მოქალაქეები აქტიურად არიან ჩართული მართვის პროცესში და

საზოგადოების წინაშე საჯარო მოხელეების ანგარიშვალდებას ზრდიან. მიღებული შედეგების მიხედვით, კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა უმეტესობის ინფორმირებულობის დონე დაბალია, შესაბამისად მათ მცირე გავლენა აქვთ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებზე. გამოკითხული საზოგადოების ის ნაწილი კი, რომელიც ფლობს ინფორმაციას ქალაქში მიმდინარე პროცესების შესახებ უფრო აქტიურად მონაწილეობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგების თანახმად, განათლების დონეს გარკვეული გავლენა აქვს საზოგადოების მონაწილეობაზე. გამოვლინდა, რომ უმაღლესი განათლების მქონე მოსახლეობა უფრო აქტიურად მონაწილეობს ადგილობრივ თვითმმართველობაში. შესაბამისად, დადასტურდა შემდეგი ჰიპოთეზაც - მოსახლეობის ჩართულობის დონე დამოკიდებულია მათ განათლებაზე. ოქუის (Oquaye, 1995) მიხედვით, განათლებული და ინფორმირებული საზოგადოება მართვის პროცესში უფრო მეტადაა ჩართული, რითაც ხელს უწყობს საჯარო მოხეელების ანგარიშვალდებულებისა და პასუხისმგებლობის ზრდას.

მოცემული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ არსებული საკანონმდებლო ბაზა თვითმმართველობის განხორციელების პროცესში მოქალაქეთა ეფექტურ ჩართულობას არ უზრუნველყოფს. კანონით გათვალისწინებული მონაწილეობის მექანიზმები პრაქტიკაში იშვიათად გამოიყენება. გამოკითხული რესპონდენტების ნაწილი ჩართულობის გარკვეულ ფორმებს იყენებს, მაგ., საკრებულოს სხდომებზე დასწრება, დასახლების საერთო კრება, საჯარო შეკრებებზე მონაწილეობა, თუმცა აღნიშნული მექანიზმები დაბალი ინტენსივობით გამოიყენება. მონაწილეობის სხვა მექანიზმების (მაგ., პეტიცია) გამოყენება კი პრაქტიკაში სირთულეებს წარმოშობს, რადგან ჩართულობის კონკრეტული ფორმების და პროცედურების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე დაბალია. ჯონისა და მაკენანის (John, 2009 & McKenna, 2011) თანახმად, ჩართულობის პროცესს დიდწილად საზოგადოების ცოდნის დონე და უნარები განსაზღვრავს.

გამოკითხულმა რესპონდენტებმა მონაწილეობის ერთ-ერთ ძირითად ბარიერად ძალაუფლების არასაკმარისი დეცენტრალიზაცია დაასახელეს. მათი თქმით,

ცენტრალური ხელისუფლება გადაწყვეტილებებს მოქალაქეთა მონაწილეობის გარეშე იღებს. ამასთანავე, კვლევაში მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ არც ადმინისტრატორებს და არც თავად სამოქალაქო საზოგადოების წევრებს არ აქვთ პოლიტიკური ნება მოსახლეობის ჩართულობის გასაზრდელად. თვითმმართველობის წარმომადგენელთა თქმით, მოქალაქეები არ ცდილობენ ადგილობრივ დონეზე მონაწილეობას. მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ ადგილობრივი ხელისუფლების წევრები თავადაც არ არიან პროაქტიულები, ისინი პრაქტიკულად არ იყენებენ მოსახლეობის ჩართულობის ეფექტურ მექანიზმებს. ამათანავე, პასიურია არასამთავრობო სექტორიც. ისინი ქმედით ნაბიჯებს არ დგამენ ხელისუფლების წევრებზე გავლენის მოსახდენად და თანამონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

კვლევაში მონაწილე რესპონდენტების თანახმად, მოქალაქეთა ჩართულობის გასაზრდელად ინიციატივები ერთდროულად უნდა მომდინარეობდეს ხელისუფლებისგან, არასამთავრობო ორგანიზაციებისგან და თავად მოსახლეობისგან. ისინი სამგანზომილებიანი დინამიკის მნიშვნელობაზე ამახვილებენ ყურადღებას. ტენდლერის (Tendler, 1997) მიხედვით, წარმატებული დეცენტრალია დაინტერესებული მხარეების კოლაბორაციით მიიღწევა.

ბიბლიოგრაფია

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, (2014). Retrieved April 12, from: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429

საქართველოს კონსტიტუცია. Retrieved April 8, from: http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/constitution-of-georgia-68

სვიანიევიჩი, პ. (2011). საზოგადოებრივი აზრი საქართველოში ადგილობრივი ხელისუფლების შესახებ. თბილისი

ყიფიანი, დ. (2016). მოქალაქეთა მონაწილეობის სტიმულირება თვითმმართველობის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამებში. თბილისი

მცხეთა-მთიანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2015-2021 წლებისთვის. Retrieved March 22, from: http://www.mrdi.gov.ge/sites/default/files/mcxeta-mtianetis_regionis_ganvitarebis_strategia_2014-2021_clebisatvis_0.pdf

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი. Retrieved April 9, from: http://mtskhetamunicipality.ge/menu/biujeti

კიღურაძე, კ. & სანებლიძე, ნ. (2017). მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში - მონიტორინგი და რეკომენდაციები

საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია. Retrieved from: http://nala.ge/climatechange/geo/municipalities/municipalities-2/244-tvitmmartveli-qalaqi-rustavi

ქალაქ რუსთავის 2018 წლის ბიუჯეტი. Retrieved April 9 from: http://rustavi.gov.ge/file_manager/16/5b710a4b5eeddd470b27bfa5eb43bca6.pdf

მუნტერსი, პ. (2016). რუსთავის ადგილობრივი მონაწილეობითი ბიუჯეტირების სახელმძღვანელო პრინციპები

Arnstein, Sh. (1969). A ladder of citizen participation

Burns, D., Heywood, F., Taylor, M., Wilde, P. & Wilson, M., (2004). Making community participation meaningful, U.K.

Grant, U. (2002). Citizen participation and local government accountability. Retrieved from: https://assets.publishing.service.gov.uk/media/57a08d43ed915d3cfd00190a/R80574.pdf

King, C.S., Feltey, K.M, and Susel, B.O. (1998). The question of participation: Toward authentic public participation in public administration. Public administration review.

B.S.Offenbacker, Overcoming barriers to effective public participation, American University, Washington, D.C.

Roberts, N. (2004). Public deliberation in an age of direct citizen participation

Pandeya, G. (2015) Citizen participation in local government decision-making. Retrieved from: http://journals.sfu.ca/ipmr/index.php/ipmr/article/viewFile/247/243

Burns,D., F. Heywood, M. Taylor, P. Wilde and M. Wilson. 2004. Making community participation meaningful, Policy Press, U.K.

Goss, S. 2001. Making local governance work, Hampshire, UK: Palgrava

Tendler, J. (1997). Good Government in the Tropics

Kweit, M.B., & Kweit, R.W. (1981). Implementing citizen participation in a bureaucratic society: A contingency approach

Yang, K., & Callahan, K. (2005). Assessing citizen involvement efforts by local governments. Public performance and Management review

დანართი 1

დანართი N1.1



დანართი N1.2



დანართი N1.3



დანართი N1.4



	საკრებულოს სხდომებზე დასწრება	საჯარო შეკრებებზე დასწრება	დემონსტრაციებში მოაწილეობა	პეტიციის ხელმოწერა	დასახლების კრებაზე დასწრება	თვითმმართველობასთან პირადად დაკავშირება	არ მონაწილეობს
მცხეთა	17%	15%	4%	2%	0%	0%	66%
რუსთავი	5.3%	23.3%	4%	0%	8%	3.3%	63.3%

დანართი N1.5



დანართი N1.6



დანართი N1.7



დანართი N1.8



დანართი N1.9



დანართი N1.10



დანართი N1.11



დანართი N1.12



დანართი N1.13



დანართი N1.14



დანართი N1.15



დანართი N1.16



დანართი N1.17



დანართი N1.18



დანართი N1.19



დანართი N1.20



დანართი 2

D1. სქესი:

1) მდედრობითი 2) მამრობითი

D2. ასაკი:

1) 18-25; 2) 26-35; 3) 36-45; 4) 46-55; 5) 56 -65; 6) 66 და ზევით;

D3. განათლება:

1)უმაღლესი; 2) არასრული უმაღლესი; 3) პროფესიული; 4) სრული საშუალო; 5) არასრული საშუალო; 6) განათლების გარეშე;

D4. დასაქმების სფერო:

1)საჯარო სექტორში დასაქმებული; 2)კერძო სექტორში დასაქმებული; 3)თვითდასაქმებული; 4) უმუშევარი; 5) პენსიონერი; 6) სტუდენტი; 7) სხვა (მიუთითეთ) ---

Q1. თქვენი აზრით, რას გულისხმობს მოქალაქეთა ჩართულობა? *(ჩაწერეთ პასუხი)*

Q2. როგორ ფიქრობთ, რა როლს ასრულებს მონაწილეობითი მმართველობა დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობაში? *(შესაძლებელია ერთზე მეტი პასუხი)*

1) ხელს უწყობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებას;
2) ხელს უწყობს საზოგადოების ნდობის მოპოვებას;
3) უზრუნველყოფს არსებული რესურსების ეფექტურ გამოყენებას;
4) უზრუნველყოფს ანგარიშვალდებულების, გამჭვირვალობისა და მონაწილეობის პრინციპებზე დაფუძნებულ მმართველობას;
5) სხვა (მიუთითეთ) ---

Q3. რატომ არის ადგილობრივ დონეზე მოქალაქეთა ჩართულობა მნიშვნელოვანი? *(შესაძლებელია ერთზე მეტი პასუხი)*

1) ადგილობრივი მმართველობა უფრო ახლოს არის ხალხთან;
2) ადგილობრივი ხელისუფლება უკეთესად არის მორგებული არსებულ რეალობას, ვიდრე ცენტრალური მთავრობა;
3) ადგილობრივ თვითმმართველობას უკეთესად შეუძლია ხალხის საჭიროებების იდენტიფიცირება და შესაბამისი მომსახურების მიწოდება;
4) ადგილობრივ ხელისუფლებას აქვს სწრაფი რეაგირების უნარი;
5) თვითმმართველობა უზრუნველყოფს სიღარიბის დაძლევაზე ორიენტირებულ პოლიტიკას;
6) ხელს უწყობს საზოგადოებაში ნდობის ჩამოყალიბებას;
7) არ ვიცი;
8) მიჭირს პასუხის გაცემა;
9) სხვა (მიუთითეთ) ---

Q4. რამდენად უზრუნველყოფს არსებული საკანონმდებლო ბაზა მოქალაქეთა აქტიურ მონაწილეობას?

1) სრულად; 2) ნაწილობრივ; 3) საერთოდ არ უზრუნველყოფს;

Q5. რა ფორმით იღებთ მონაწილეობას ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში? *(შესაძლებელია ერთზე მეტი პასუხი)*

1) საკრებულოსა და კომიის სხდომებზე დასწრება/მონაწილეობა;
2) პეტიციის ხელმოწერა/წარდგენა;
3) დასახლების საერთო კრებაზე დასწრება/მონაწილეობა;
4) დემონსტრაციაში ან საპროტესტო ღონისძიებაში მონაწილეობა;
5) ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთან პირადად დაკავშირება;
6) ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან საჯარო შეკრებებზე დასწრება;
7) საერთოდ არ ვიღებ მონაწილეობას ადგილობრივ მმართველობაში;

8) სხვა (მიუთითეთ) ---

Q6. მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა თქვენ ქალაქში დაგეგმილი ან უკვე განხორციელებული პროექტის განხილვაში?

1) დიახ 2) არა

Q7. როგორ აღწერდით თქვენს ჩართულობას ადგილობრივ თვითმმართველობაში?

1) ძალიან ჩართული ვარ;
2) მეტნაკლებად ჩართული ვარ;
3) ძალიან მცირედით ვარ ჩართული;
4) საერთოდ არ ვარ ჩართული;

Q8. ძირითადად საიდან იღებთ ინფორმაციას ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის შესახებ? *(შესაძლებელია ერთზე მეტი პასუხი)*

1)ტელევიზია; 2) ინტერნეტი; 3) თვითმმართველობის ვებგვერდი; 4) თვითმმართველობასთან შეხვედრები; 5) ბეჭდური მედია; 6) რადიო; 7) არასამთავრობო ორგანიზაციებისგან; 8) საერთოდ არ მაქვს ინფორმაცია ქალაქში მიმდინარე მოვლენების შესახებ; 9) სხვა (მიუთითეთ) ---

Q9. რამდენად ეთანხმებით ქვემოთ ჩამოთვლილ ფრაზებს:

	1. სრულიად ვეთანხმები;	2.ვეთანხმები;	3.არც ვეთანხმები და არც უარვყოფ;	4.არ ვეთანხმები;	5.სრულიად არ ვეთანხმები;
მე ვიცი როგორ ჩავერთო ადგილობრივი პრობლემების გადაჭრისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ;					
კმაყოფილი ვარ იმ შესაძლებლობებით, რაც მაქვს იმისთვის, რომ მივიღო მონაწილეობა					

ქალაქის პრობლემების გადაწყვეტაში;					
მე შემიძლია სხვებთან ერთად მუშაობით ცვლილებები მოვახდინო ადგილობრივ თვითმმართველობაში მიმდინარე პროცესებზე;					
მე ვიცი სად მივიღო ინფორმაცია იმის შესახებ თუ რას აკეთებს ადგილობრივი ხელისუფლება;					
მე ვიცი როგორ დავუკავშირდე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს;					

Q10. რა გავლენას ახდენს მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში? *(შესაძლებელია ერთზე მეტი პასუხი)*

1) ზრდის ადგილობრივი ხელისუფლების ანგარიშვალდებულებასა და პასუხისმგებლობას;
2) უზრუნველყოფს გამჭვირვალობას;
3) უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებას;
4) ზრდის ლეგიტიმურობას;
5) არანაირ გავლენას არ ახდენს;
6) სხვა (მიუთითეთ) ---

Q11. ვის მიერ უნდა მოხდეს ჩართულობის ინიცირება?

1) მოსახლეობა და ადგილობრივი ხელისუფლება ერთად
2) მხოლოდ მოსახლეობა

3) ადგილობრივი ხელისუფლება
4) ცენტრალური ხელისუფლება
5) არასამთავრობო ორგანიზაციები
6) სხვა

Q12. არსებობს თუ არა საფრთხე, რომ ყურადღება გამახვილდება მხოლოდ ადგილობრივი ელიტის ინტერესებზე?

1)დიახ; 2) არა; 99) მიჭირს პასუხის გაცემა;

Q13. რა უშლის ხელს სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას? (ძირითად რა ტიპის ბარიერებს ხვდებით) *(შესაძლებელია ერთზე მეტი პასუხი)*

1) გადაწყვეტილებებს ცენტრალური ხელისუფლება იღებს, რის გამოც მათი განხორციელება სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გარეშე ხდება;
2) როგორც გადაწყვეტილების მიმღებს, ასევე სამოქალაქო საზოგადოების წევრებს არ აქვთ პოლიტიკური ნება ადგილობრივმა მოსახლეობამ მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკის შემუშავების პროცესში;
3) სამოქალაქო საზოგადოების დიდი ნაწილი არაა კომპეტენტური მართვის პროცესში მონაწილეობის მისაღებად;
4) მოქალაქეთა მონაწილეობის მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად საკანონმდებლო ბაზა არასრულია;
5) მოქალაქეთა ჩართულობაზე პასუხიმგებელი ადგილობრივი საჯარო მოხელეები შესაბამის უფლებამოსილებებს არ ფლობენ;
6) ცენტრალური ხელისუფლება ადგილობრივ მოსახლეობას ხელს უშლის მონაწილეობის მიღებაში;
7) ადგილობრივი ხელისუფლება მოქალაქეებს ხელს უშლის მონაწილეობის მიღებაში;
8) სხვა (მიუთითეთ) ---

Q14. თქვენი აზრით, როგორ შეიძლება განხორციელდეს ადგილობრივი თვითმმართველობის პროცესში მოქალაქეთა თანამონაწილეობის გაზრდა? *(შესაძლებელია ერთზე მეტი პასუხი)*

1) მოქალაქეთა ინფორმირებულობის დონის გაზრდით;
2) საკანონმდებლო ბაზის დახვეწით;
3) ძალაუფლების დეცენტრალიზაციით;
4) ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა ინტერესების გათვალისწინებით;
5) სხვა (მიუთითეთ) ---

დანართი 3

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Khatia Tchanturia

Citizen Participation Barriers in Georgian Local Government

Public Administration and Public Policy

Master's Thesis is done to obtain Master's Degree in Public Administration

Supervisor: Nana Macharashvili

Associate Professor

Tbilisi

2018